ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 14 სექტემბერი, 2021 №171 (8700) ფასი: 60 თეთრი

ლინდა თოლორაია: „ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ყველა შემთხვევა შესწავლილ უნდა იქნას“

გვ.5

„ამ მოსმენების შემდეგ საპატრიარქო და ხელისუფლება კარგად ივაჭრებენ“

გვ.3

დავით ზურაბიშვილი: „თავის დროზე დანაშაულის ტოლფას დათმობებზე წავედით კოალიციაში და დღემდე განვიცდი ამას“

გვ.2

„გახარია მეორე ტურში ვერ წარმოიდგენია“

თორნიკე შარაშენიძე: „ჩემთვის არც ერთი კვლევა არ იწვევს სანდოობას, უკვე დიდი ხანია“

„სააკაშვილს ვურჩევ, გვერდზე გაიწიოს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ სააკაშვილს განცდა აქვს, რომ მის დაპატიმრებას გრანდიოზული მასშტაბის მიტინგები და ქუჩაში გამოსვლები მოჰყვება, რბილად რომ ვთქვა, არასერიოზულია“

გვ.4

ირაკლი კობახიძე: „სააკაშვილი საზღვრიდან ლამაზად მოხვდება ციხეში“

გვ.4

„გახარიამ შეიძლება მესამე ადგილი აიღოს“

თამარ ჩხეიძე: „ფეისბუქში ჩემს აქტიურობას უცნაური გაგრძელება მოჰყვა“

მამუკა მდინარაძე: „ვიხილეთ მორიგი თავდასხმა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 „ოცნების“ ფოთის მერობის კანდიდატ ბექა ვაჭარაძეს სუსმა „ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ხახუბიას თვალთვალი დაავალა“

4 „სუსი მოსაყდრე შიოს, ანდრია ჯალმაიძეს, შორენა თეთრუაშვილს უსმენს და უთვალთვალებს“

5 ერაყელი შეიხი ქართველმა მარიკამ გაძარცვა
ცნობილია მისი 3 თანამზრახველის ვინაობა

5 „დავით კოდუაზე ცოლი და შვილი ამბობდნენ, რომ მას საყვარელი ჰყავდა და ამის გამო მათ სცემდა“

„გახარია მეორე ტურში ვერ წარმოიდგენია“

თორნიკე შარაშენიძე: „ჩემთვის არც ერთი კვლევა არ იწვევს სანდოობას, უკვე დიდი ხანია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ფონიც იძაბება. მიდის კომპრომატების ომი. რამდენად ელით სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას, როგორია თქვენი შეფასებები?

– რასაც მე ვუყურებ, ჯერჯერობით არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. შესაძლოა, არჩევნებამდე ერთი ორი დღით ადრე ორივე მხარეს ჩაფიქრებული აქვს ბომბის გამოგდება, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებული არაფერი ხდება, რასაც მიჩვეულები არ ვართ.

– ისეთი რა შეიძლება მოხდეს, რაც სიტუაციას შეცვლის?

– ჯერჯერობით მსგავს ვერაფერს ვხედავ. მსგავსი რამ რომ ჰქონოდა რომელიმე მხარეს, აქამდე გამოიყენებდნენ. არა მგონია, დიდი ბომბი ჰქონდეს, მით უმეტეს, ოპოზიციას. ოპოზიციას დიდი ბომბი რომ ჰქონოდა, აქამდე გამოიყენებდა.

– რას იტყვით სააკაშვილის გააქტიურებაზე? ყველა არჩევნების წინ აკეთებს განცხადებას, რომ მოდის, მაგრამ ახლა ბევრი საუბრობს, რომ სულ სხვა მოცემულობაა, მან გარანტიები მიიღო დასავლეთიდან და ა.შ. ამაზე რას იტყვით?

– დასავლეთმა რა გარანტიები უნდა მისცეს სააკაშვილს, ჩემთვის ეს გაუგებარია. რა, თუ დაიჭერენ, დასავლეთი სანქციებს დაადებს მთავრობას? არა მგონია, მსგავსი რაღაც მოხდეს.

– შესაძლოა დაჩქარებული წესით შეაწყალებინონ.

– არა მგონია. მე ასე ვფიქრობ, მათთვის რეალისტური ვარიანტია, რომ „ოცნებამ“ ვერ აიღოს 43% და დაიწყება ზეწოლა შიგნიდანაც და გარედანაც, აი ამისთვის ემზადებიან და ამისთვის ხდება მობილიზაცია ოპოზიციური ამომრჩევლების. სულ ესაა და მეტი არაფერი. აქ ჩამოვიდეს, დაიჭირონ და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი ძალიან ზღაპარი მეჩვენება.

– უჭირს ნაციონალურ მოძრაობას და ამ ხრიკებს მიმართავენ თუ პირიქით, ეს „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს?

– მიშას ჩამოსვლა თავისთავად ახდენს მობილიზაციას ნაცმოძრაობის ამომრჩევლის. უფრო ზუსტად, ჩამოსვლის ანონსი, ის არსად ჩამომსვლელი არ არის. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ყველაფერს „ქართული ოცნებაც“ მშვენივრად იყენებს. შეკითხვაა, რომელს უფრო აწყობს? მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე „ოცნებას“ უფრო აწყობს, რადგან ნაცმოძრაობის ამომრჩეველი ისედაც სულ მობილიზებული და მოტივირებულია. თავიანთი ერთგული არმია ვინც ჰყავთ, ის სულ მოტივირებულია. შესაბამისად, მისი ეს გააქტიურება უფრო აღვიძებს ხოლმე მის მოძულეებს, მოწინააღმდეგეებს, რომელიც მრავლად ჰყავს ქვეყანაში, ესეც ცნობილია.

– ფიქრობთ, რომ მიშა არ არის ჩამომსვლელი?

– მე არა მგონია. ამ მოცემულობით, რომ ჩამოვიდეს, რა უნდა მოიგოს? მით უმეტეს, მიჩვეულია კომფორტს და კარგ ცხოვრებას. კომფორტს მიჩვეული ადამიანი, არა მგონია, აქ ჩამოვიდეს და ციხეში ჩაჯდეს. მით უმეტეს, ისეთი აქტიური ადამიანი, როგორიც მიშაა, მისთვის ციხეში ჯდომა არ იქნება იოლი. საკმაოდ რთული თემა იქნება.

– უკრაინაშიც ჩაჯდა და საკმაოდ მალევე გამოუშვეს...

– იქ ერთ დღეში გამოუშვეს ციხიდან, ხომ გვახსოვს, რა დღეშიც იყო და აქ გამოუშვებენ ერთ დღეში?! არა მგონია.

– ხელისუფლება დღეს გახარიას უფრო ებრძვის, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას, რატომ?

– ამ სიტუაციაში ასე აწყობს „ოცნებას“. გახარიას ებრძვის და ამ ბრძოლით გახარია ოპოზიციას ართმევს ხმებს.

– რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად გადალახავს 43%-ს „ქართული ოცნება“? თავად ხელისუფლება კვლევებს კი აქვეყნებს, მაგრამ დიდ სანდოობას არ იწვევს ეს კვლევები.

– პირადად ჩემთვის არც ერთი კვლევა არ იწვევს სანდოობას, უკვე დიდი ხანია. მართალი გითხრათ, სკეპტიკურად ვუყურებ. არჩევნების დღეს სულ სხვა შედეგი დგება ხოლმე და ეს არც არის გასაკვირი. მთელი რიგი მაქინაციებია, როგორც წესი, მმართველი პარტიის მხრიდან. არჩევნების დღეს აბსოლუტურად იცვლება ყველაფერი. ხშირად ეს ყველაფერი ისე იცვლება და კეთდება, რომ უცხოელი დამკვირვებლები ვერ ამჩნევენ ვერაფერს. შესაბამისად, ერთია წინასწარი კვლევა, მეორეა შედეგი. შედეგს შედარებით ობიექტურად ასახავს ხოლმე ე.წ. ეგზიტპოლი, რომელიც უშუალოდ იმ დღეს კეთდება. ასე რომ, წინასწარ ამ კვლევებზე ლაპარაკი, მე მგონი, ცოტა არასერიოზულია. რაც არის ეს კვლევები, დაახლოებით იგივე იყო ბოლო 5-6 წელიწადი. „ოცნებას“ აქვს 30%-ზე ცოტა მეტი, ნაცმოძრაობას აქვს 20%-ზე მეტი. ეს საბოლოო ჯამში ლაგდება ისე, რომ „ოცნება“ იღებს ხოლმე თითქმის 50%-ს. ასე ლაგდებოდა ყოველთვის და ასე დალაგდება ალბათ ახლაც.

– ეს რის ხარჯზე ხდება, ადმინისტრაციული რესურსის თუ გაყალბების?

– უფრო ალბათ ადმინისტრაციული რესურსის. რაც დრო გადის, გაყალბება უფრო და უფრო რთული ხდება.

– არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმება შეთანხმებაზე დაარღვია. აღარ აქვს 43%-იანი ვალდებულება, ამოიღო კონსტიტუციის პროექტიდან პროკურორის არჩევის წესი. არ ეშინიათ სანქციების, ასე რატომ გათამამდნენ?

– ეს სანქციებიც არ არის რეალისტური. ოპოზიცია ბოლო ოთხი წელია სანქციებს გაჰკივის და არ ხდება სანქციების დადება ასე მარტივად, ამაში ნებისმიერი ადამიანი დამემოწმება, ვინც ასე თუ ისე ერკვევა ამ თემატიკაში. რას აკეთებენ ისეთს, რის გამო უნდა დაადონ სანქციები? ლუკაშენკოს ახლა დაადეს სანქციები, უკვე რამდენი წელია ეძახიან დიქტატორს. ლუკაშენკომდე საქართველოს ხელისუფლებას ძალიან ბევრი უკლია რა! რა სანქციებზეა საუბარი, ახლა ეს არასერიოზულია. ერთადერთი, რაც სანქციებს შეიძლება მივამსგავსოთ, არის ის, რომ 75 მილიონი სესხი საქართველოს მთავრობას არ მისცეს იმიტომ, რომ ჩათვალეს, რაღაც პირობა არ შეასრულა. რეალურად არც ეს არ არის სანქცია, სესხზეა საუბარი პრინციპში.

– იმის თქმა გინდათ, რომ მარტივად გამოძვრებიან?

– ასე იქნება. თვითონაც იციან, რა ვითარებაა. მართალი გითხრათ, მე არ მომწონს, რომ ასე გავიდნენ შეთანხმებიდან. შეთანხმება მე მაინც მიმაჩნდა შანსად. ჩემთვის ეს იყო დოკუმენტი ამ პოლარიზაციის დასრულების. შენ ხელისუფლება რომ ხარ, მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. ამიტომ იყო ჩემთვის სამწუხარო მათი გასვლა ამ დოკუმენტიდან.

– ძალაუფლების ბედი თბილისში წყდებაო და ძირითადი აქცენტიც ალბათ დედაქალაქზე იქნება. ვინ იქნება წამყვანი კანდიდატები? კალაძე, მელია, გახარია? მათ შორის გაიმართება ძირითადი ბრძოლა?

– დარწმუნებული ვარ, ზუსტად ამ თანმიმდევრობით გადანაწილდება. რა თქმა უნდა, დიდი შანსია, რომ მეორე ტური იყოს. იმედი მაქვს, რომ ამაში დიდ ტრაგედიას არ დაინახავს მმართველი პარტია.

– ვინ შეიძლება ვიხილოთ მეორე ტურში კალაძესთან ერთად, მელია თუ გახარია?

– რა თქმა უნდა, მელია. გახარია ალბათ მესამე ადგილზე გავა. მელიას ჰყავს თავისი გარანტირებული ამომრჩეველი, რაც 20%-ის ფარგლებში მერყეობს ყოველთვის. ეს მინიმუმ რომ ავიღოთ და გახარიას 20% ნამდვილად არა აქვს. შესაძლოა 10% ჰქონდა, რომ დაიწყო პოლიტიკური აქტიურობა, მაგრამ ახლა რამდენი აქვს, კაცმა არ იცის. უფრო დიდი შანსია, რომ დაიკლო, ვიდრე მოიმატა. კალაძე-მელიას მეორე ტურს ვუშვებ, გახარია კი ვერ წარმომიდგენია მეორე ტურში. გახარიას გამო შესაძლოა შედგეს მეორე ტური, მაგრამ ის, რომ გახარია გავიდეს მეორე ტურში, ეს არა მგონია.

– ვისი ხმები მიაქვს დღეს გახარიას?

– ჩემი აზრით, უფრო პატარა ოპოზიციური პარტიების. ამ გადასახედიდან „ოცნებამ“ უნდა შეძლოს 43%-ის აღება. რამდენად მოიგებს კალაძე თბილისში პირველივე ტურში, ეს რთული სათქმელია, მაგრამ მთლიანობაში 43% უნდა აიღონ. ამ სიტუაციაში ამის პრობლემა არ ექნებათ. ეს არჩევნები დიდ ინტერესს არ იწვევს მოსახლეობაში. ამიტომ ოპოზიციას ამომრჩევლის ისეთი მობილიზება, როგორიც შარშან საპარლამენტოზე შეძლეს, გაუჭირდებათ.

„ოცნების“ ფოთის მერობის კანდიდატ ბექა ვაჭარაძეს სუსმა „ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ხახუბიას თვალთვალი დაავალა“

გიგი უგულავას კომენტარი

ოპოზიციის ნაწილის ფოთის მერობის კანდიდატი გიგი უგულავა მოუწოდებს „ქართული ოცნების“ ფოთის მერობის კანდიდატ ბექა ვაჭარაძეს, მკაფიო განმარტება გააკეთოს მის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციაზე ან შეწყვიტოს საარჩევნო კამპანია.

როგორც გიგი უგულავამ განაცხადა, სუსის საიდუმლო მასალებიდან, რომლებიც „მთავარმა არხმა“ გაავრცელა, ირკვევა, რომ ბექა ვაჭარაძე არის სისტემის მსხვერპლი.

– დიახ, მსხვერპლი, იმიტომ, რომ სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარი ნებით ხდებიან აგენტები, თანხმდებიან მოსმენას, შანტაჟსა და გადაბირებას, ეს ადამიანი, როგორც ირკვევა, არის დაშანტაჟებული პირადი ცხოვრების მასალებით, ამიტომ, ის არის ცალსახად მსხვერპლი. მზად ვარ მას, როგორც მსხვერპლს, გვერდზე ყველანაირად დავუდგე, იმიტომ, რომ ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, არის ამორალური და საზიზღრობა.

ამავე დროს, მინდა მივმართო მას – ის იქნება მსხვერპლი საზოგადოებისა და ფოთელების წინაშე, თუ ის მკაფიო განმარტებას გააკეთებს იმ ამბავთან დაკავშირებით, რაც ვიხილეთ. ჩვენ მოვისმინეთ გამაოგნებელი რამ – იმის გამო, რომ სუსმა დააშანტაჟა, ის ფაქტობრივად, მეთვალთვალედ, „ოპრიჩნიკად“ მიუგზავნეს ასევე „ქართული ოცნების“ დეპუტატს და ფაქტობრივ ოლიგარქს ფოთში, ბატონ ხახუბიას.

ეს არის გამაოგნებელი და ამაზრზენი. მინდა საზოგადოებას ვუთხრა, მსოფლიოს ოცი საუკეთესო მწერალი რომ აიღოთ, ამ ისტორიებს ვერავინ შეთხზავს და მოიგონებს. სამწუხაროდ, ეს არის რეალური ისტორიები. ბატონ ვაჭარაძეს მინდა მოვუწოდო, დღის ბოლომდე გააკეთოს მკაფიო განმარტებები ან შეწყვიტოს კამპანია, იმიტომ, რომ შეუძლებელია ასეთი წინაპირობით ადამიანმა საერთოდ რაიმე კამპანია აწარმოო, – განაცხადა გიგი უგულავამ გუშინ, 13 სექტემბერს, გამართულ პრესკონფერენციაზე.

„თქვენი პატრიოტიზმის იმედი მაქვს“

სააკაშვილმა ქართულ ჯარს მიმართა

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და სამხედრო მოსამსახურეებს მიმართავს.

როგორც ის სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში აღნიშნავს, ივანიშვილს სჭირდება განადგურებული, „ფარჩაკი“, სუსტი საქართველო და არაფერში არ სჭირდება ჯარის არსებობა.

„ძალიან ვამაყობ იმით, რომ თქვენი თანამებრძოლი ვარ, თქვენთან ერთად შევქმენი, პრაქტიკულად ტილიანი, გაუბედურებული, განადგურებული ჯარიდან, ნამდვილი ბრძოლისუნარიანი, საამაყო, საბრძოლო შენაერთები, რომელთაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. მე არასდროს დამავიწყდება ამერიკის გენერალური შტაბის უფროსის გამოხმაურებები ქართველ სამხედროებზე, სხვა უცხოელი გენერლების და ხელმძღვანელების გამოხმაურებები.

თქვენ ივანიშვილს ეზიზღებით. მას აქვს ასეთი ტაქტიკა, რომ ჯარი საქართველოს არ სჭირდება. იცით, რომ მრავალი წელი სამხედრო აღლუმებს კრძალავდა. რამდენიმე ათეულ ოფიცერს კონვერტში უხდის ხელფასს იმისთვის, რომ მათ არ შეუქმნან პრობლემები და დანარჩენი ჯარი გააკონტროლონ.

სამაგიეროდ ყველა სხვა საკითხი, რომელიც ეხება შეიარაღებულ ჯარებს, არ წყდება. ბინები, მივლინებები, მთელი ეს წლები ნაწილდება, ნეპოტიზმით, ნაცნობობით და არავითარ შემთხვევაში დამსახურებით. საუკეთესო ოფიცრებიდან ბევრი მათგანი გააქციეს ჯარიდან და დანარჩენსაც გაქცევაზე უჭირავს თვალი. აღჭურვა მკვეთრად შესუსტდა და ვარჯიშები პრაქტიკულად ნულზეა ჩამოყვანილი. ეს არის სამარცხვინო და შეუთავსებელი სიტუაცია ქართველი კაცის სულთან. ივანიშვილს სჭირდება განადგურებული, „ფარჩაკი“, სუსტი საქართველო და არაფერში არ სჭირდება თქვენი არსებობა.

მეგობრებო, თქვენ, გარდა ყველაფრისა, ხართ საქართველოს მოქალაქეები. დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელმაც მოიპარა გასულ წელს ოქტომბრის არჩევნები, დაარღვია ევროკავშირთან ხელშეკრულება, რომელიც ყოველდღიურად ძალადობით, მუქარითა და ქრთამით კაბინეტებს ინარჩუნებს. საქართველო არის გადასარჩენი და მე მოგმართავთ თქვენ, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, მაგრამ პირველ რიგში, როგორც ჩვენს მოქალაქეებს – ყველა უნდა მოვემზადოთ ჩვენი სამოქალაქო ვალის შესასრულებლად, არჩევნებზე აქტიურად მონაწილეობისთვის და ასევე, ხელშეკრულების აღდგენისთვის, რადგან ეს არის რეფერენდუმი. საქართველოს ახლა სჭირდება შველა.

თქვენი განსაკუთრებულობისა და პატრიოტიზმის იმედი მაქვს და ასევე, ჩვენი გმირი ვეტერანების. აბა თქვენ იცით, ყველაფერი კარგად იქნება, – აცხადებს სააკაშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილს ვურჩევ, გვერდზე გაიწიოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ სააკაშვილს განცდა აქვს, რომ მის დაპატიმრებას გრანდიოზული მასშტაბის მიტინგები და ქუჩაში გამოსვლები მოჰყვება, რბილად რომ ვთქვა, არასერიოზულია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, მიხეილ სააკაშვილმა, მას შემდეგ, რაც დააანონსა, რომ ჩამოდის, შეიარაღებულ ძალებს და სამხედროებს მიმართა. შეიძლება მართლაც ჩამოვიდეს?

– გვახსოვს, ყოველი არჩევნების წინ როგორ აანონსებდა სააკაშვილი ჩამოსვლას და შემდეგ უკვე პოულობდა მიზეზს, რათა გაემართლებინა, რატომ არ ჩამოვიდა. ამიტომ, ამჯერად რატომ უნდა იყოს განცდა, რომ ჩამოვა?! ვფიქრობ, რაღაც სცენა გათამაშდება. ძალიან მიზერული მგონია აღბათობა, რომ ჩამოვიდეს.

თუ ჩამოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს და ჩამოვა, ამ გადაწყვეტილების გაგრძელების პერსპექტივას ვერ ვხედავ. მიხეილ სააკაშვილი მოადგება თუ არა საქართველოს საზღვრებს, „ქართული ოცნება“ უნდა თუ არ უნდა, იძულებული იქნება აღასრულოს სასამართლოს დადგენილება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, არათუ განაჩენი არ აღასრულა, ძალაუფლებაზე ამბობს უარს. ეს იქნება თანაზომადი იმის, რომ „ოცნებამ“ უარი თქვას ძალაუფლებაზე. თუ ამაზე მიდიან, გამოდის, შეთანხმებული მოქმედება ყოფილა. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ხელისუფლებამ უარი თქვას სასამართლოს განაჩენის აღსრულებაზე.

ხელისუფლებას სხვა არჩევანი არ აქვს. ან ის აპატიმრებს სააკაშვილს საზღვრებს გადმოლახავს თუ არა, რაოდენ დიდი ქაოსი და დაძაბულობაც არ უნდა გამოიწვიოს ამან, ან უარს ამბობს ამაზე და ძალაუფლებას თმობს. ეს კი, რასაკვირველია, ხალხის მიერ პირდაპირ იქნება აღქმული, რომ სააკაშვილმა გაიმარჯვა. რაც ხელისუფლების დაკარგვის ტოლფასი იქნება.

– როგორი შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია? შეიძლება პარალელები გავავლოთ ნიკა მელიას დაკავებასთან?

– სრულიად განსხვავებული პოზიციები იქნება. სააკაშვილის ასეთ ქმედებას არა მგონია საერთაშორისო ასპარეზზე ისეთივე რეაქცია მოჰყვეს, რაც მელიას დაკავებას მოჰყვა. დასავლეთისთვის სააკაშვილი უკვე მაინც გაჭრილი პოლიტიკური ფიგურაა. ის იყო პრეზიდენტი და მან გაიარა ყველა ეტაპი. რა სააკაშვილი, როდესაც მერკელს მოუწოდეს დამშვიდობებისკენ.

რაც შეეხება ადგილობრივ რეაქციას, თუ სააკაშვილს განცდა აქვს, რომ მის დაპატიმრებას გრანდიოზული მასშტაბის მიტინგები და ქუჩაში გამოსვლები მოჰყვება, რბილად რომ ვთქვა, არასერიოზულია.

სააკაშვილი თუ მართლა დაბრუნდება 2



ოქტომბრის არჩევნებისთვის, ამას მრავალგანზომილებიანი რეაქცია მოჰყვება სხვადასხვა მიმართულებით. შეიძლება რეჟიმი ვერ აღდგეს, მაგრამ დემოკრატიის ოაზისი რომ არ იქნება, ესეც ცალსახაა. მე სააკაშვილს ლეხ ვალენსას პოლიტიკური ბიოგრაფიის გაზიარებას ვურჩევდი. როდესაც ვალენსამ მეორედ მოინდომა გაპრეზიდენტება, მას ურჩიეს, გვერდით გაწულიყო.

– ფიქრობთ, ხელისუფლების დაბრუნებაა მიზანი? არაერთხელ უთქვამს, რომ რიგითი იქნება, რომ მას თანამდებობა არ აინტერესებს.

– სააკაშვილი 2012 წლის 31 ოქტომბრის მეორე დღიდან ძალაუფლების დაბრუნებისთვის იბრძვის. თუ ძალაუფლების დაბრუნება არ არის მიზანი, მაშინ მისი ქცევა არაადეკვატურია. რა თქმა უნდა, ის იტყვის, რომ მას არ უნდა თანამდებობა, მაგრამ გამოჩნდება ხალხი, ვინც ამას მოითხოვს. ეს ხომ ძალიან ნაცნობი სცენარია. გაიხსენეთ, როგორ დაუჩოქეს შევარდნაძეს. დაახლოებით ასეთი სცენარი გათამაშდება. ძალიან მარტივია ეს ყველაფერი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ასე არ იქნება და სხვაგვარად იქნება, მინდა ვუთხრა, ცდება.

– თუ სააკაშვილი დააკავეს, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ამ შემთხვევაში ორი სცენარით შეიძლება მოვლენები განვითარდეს: არჩევნებამდე თუ ჩამოვიდა და დააკავეს, ეს სიტუაციას საკმაოდ გაამძაფრებს, მაგრამ ამას, მერწმუნეთ, არ მოჰყვება ის პროტესტი, რისი იმედიც შეიძლება მას და „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდეს. ეს დიდ გავლენას ვერ მოახდენს არჩევნებზე და ვერც მის შედეგებზე.

მეორე სცენარი: თუ ისე განვითარდა მოვლენები, რომ არჩევნები ჩაიშალა, ეს იქნება უკიდურესი სიტუაცია, მაშინ კონსტიტუციით ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება და დაიწყება იმ ხალხის იზოლირება, ვინც ამ პროცესების უშუალო მონაწილე იქნება. ვინც შეიჭრება საარჩევნო უბნებზე და ა.შ.

გულწრფელად რომ გითხრათ, მე დღეს საზოგადოებაში, ხალხში, ვერ ვხედავ მუხტს, რომ პროტესტი ქუჩაში გადმოიღვაროს და სერიოზული წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყოს. არათუ პროტესტი, არჩევნების განცდაც კი არ იგრძნობა ხალხში, იმდენად ინდიფერენტული გარემოა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს პროტესტი არ აქვთ. ამ შემთხვევაში რა გავლენა უნდა მოახდინოს სააკაშვილის ჩამოსვლამ და შემდეგ მისმა დაპატიმრებამ, რთულად ასახსნელია.

თუ არჩევნების შემდეგ ჩამოვა, ამას მაშინ ექნება აზრი თუ აქ ისეთი საპროტესტო ტალღა აგორდება, რომ შესაძლებელი იქნება, თუნდაც საჰაერო საზღვრის, აეროპორტების გაკონტროლება ოპოზიციის მიერ, მაგრამ როგორ გგონიათ, ამას დაუშვებს ხელისუფლება?! რასაკვირველია, არა. თუ ოპოზიციას იმხელა მუხტი ექნება, რომ მათ შეეძლებათ თუნდაც თბილისის აეროპორტის გაკონტროლება, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილის ჩამოსვლა საჭირო აღარ იქნება. გამოდის, ხელისუფლება აღარ არსებობს, შეცვლილა და ეგაა. მაგრამ დღეს ხალხში ეს განწყობა არანაირად არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილსა და დანარჩენ ოპოზიციას გადაჭარბებული მოლოდინები ჰქონდეთ.

„ამ მოსმენების შემდეგ საპატრიარქო და ხელისუფლება კარგად ივაჭრებენ“

დავით ზურაბიშვილი: „თავის დროზე დანაშაულის ტოლფას დათმობებზე წავედით კოალიციაში და დღემდე განვიცდი ამას“

იაგო ნაცვლიშვილი

სუსიდან გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, სასულიერო პირებს უსმენენ, საუბარია სინოდის წევრებზე და მათ შორის, კონკრეტული ქეისებიც გავრცელდა. ფარულ მოსმენებზე დიდი ხანია საუბარია, თუმცა ის ფაქტი, რომ სასულიერო პირებს უსმენენ, კიდევ უფრო ამძაფრებს ვითარებას.

რას ნიშნავს ეს ამბავი და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა ფაქტმა საარჩევნო პროცესზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **დავით ზურაბიშვილი** საუბრობს.

– მოსმენებთან დაკავშირებით გამოჟონა ინფორმაციამ, რომლის მიხედვითაც, თურმე სასულიერო პირებსაც უსმენენ. ეს ალბათ არ გაგიკვირდებოდათ, მაგრამ კიდევ ერთხელ რა გვაჩვენა ამან და რა გავლენა ექნება მას საარჩევნო პროცესზე?

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია საპატრიარქოზე. თუ მღვდლები მრევლს ეტყვიან, რომ ხელისუფლება თურმე რა ცუდი ყოფილა, მაშინ სერიოზულად იმოქმედებს საარჩევნო სიტუაციაზე „ქართული ოცნებისთვის“. თუ არ იტყვიან და გაატარებენ, ან „ნაცებს“ დააბრალებენ, როგორც ეს ხდება ხოლმე, მაშინ შესაძლოა ამან ძლიერი ზეგავლენა არ იქონიოს, თუმცა რაღაც ზეგავლენას ყველა ვარიანტში მოახდენს.

მე უფრო მგონია, რომ ამ ფაქტით საპატრიარქო შეეცდება, რომ ხელისუფლებისგან მეტი გამოივაჭროს. მეტი დათმობები მიიღოს მისგან, რადგან მას შეუძლია სერიოზული პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას. ხელისუფლების მთელი წინასაარჩევნო რიტორიკა ისე იყო აგებული, რომ ის გრძნობდა მრევლის მხარდაჭერას. ანუ, ოპოზიცია ეკლესიას ებრძვის და ა. შ. ასე რომ, ხელისუფლებისთვის ყველა ვარიანტში სერიოზული პრობლემაა.

– შეცვლის თუ არა საარჩევნო პროცესში რამეს, ეს მაინც საპატრიარქოზეა დამოკიდებული?

– რა თქმა უნდა. გახსოვთ, თავის დროზე მარიხუანას ლეგალიზაციის შემდეგ სამედიცინო მიზნით მარიხუანას პლანტაციების გაკეთება ვერ შეძლო ივანიშვილმა, რადგან ეკლესია იყო ამის კატეგორიული წინააღმდეგი. ეკლესიას დღესაც აქვს ბერკეტები და თუ ის ეტყვის მრევლს, რომ არ დაუჭიროთ მხარი ხელისუფლებასო, ეს პრობლემა იქნება, მაგრამ მე მგონია, რომ მორიგდებიან. არ მგონია, რომ კონფლიქტამდე მივა საქმე. პატრიარქი ცდილობს, რომ არ წავიდეს კონფლიქტზე და რაღაცნაირად მორიგდეს ხელისუფლებასთან.

– ფარდის უკან მორიგდებიან?

– უფრო ასე მგონია. რაღაცას გამოიმუშავებენ, ან მიწებს აჩუქებენ, ან ფულს მისცემენ... დამთავრდება ყველაფერი ასე. თუმცა, მაინც იმოქმედებს საარჩევნო პროცესზე, მთლად ასე სრული კონტროლიც არ არის.

– სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ სუსი კი არა საბჭოთა კაგებეაო და რას გულისხმობდით?

– საბჭოთა კაგებეა, მაგრამ მთლად ისიც არ არის. იმიტომ, რომ კაგებე, გარდა იმისა, რომ საკუთარ მოქალაქეებს უთვალთვალებდა, სხვა საქმეებითაც იყო დაკავებული. ამერიკის აგენტებს უთვალთვალებდა და რაღაცა... მე მგონი სუსი მარტო იმით არის დაკავებული, რომ უთვალთვალებს პოლიტიკურ ოპონენტებს, ბიზნესს, სამღვდელოებას და ა. შ. ანუ, მათი მთავარი მოვალეობა მოქალაქეების თვალთვალი, მათზე კომპრომატების მოგროვება და ისაა, რომ ზოგი გადმოიბიროს, ზოგი გასვაროს და მერე დანიშნოს მერებად და გამგებლებად. ჯერჯერობით ასე მიდის საქმე. ანუ, პრინციპში, ეს არის პოლიტიკური პოლიცია და არანაირი კავშირი არ აქვს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან, უშიშროებასთან თუ კონტრდაზვერვასთან, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია. დღევანდელ სუსს ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

– თქვენ გგონიათ, რომ ეს ინფორმაციები სუსის და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარეშე ჟონავს? სწორად მივხვდი?

– არა. ინფორმაცია ჟონავს, მაგრამ ისინი სულ არ ფიქრობენ ინფორმაციის გაჟონვაზე. უბრალოდ, როგორც ყველაფერში, აქაც თავმოუბმელები, უნიათოები და არაორგანიზებულები არიან.

– გასვარონ და მერე დანიშნონო, ამაში კომპრომატების შეგროვება იგულისხმეთ და არა ის, რომ საზოგადოების თვალში მოხდეს ეს?

– ყველა, ვინც არის წამოყენებული გამგებლებად თუ მერებად „ქართული ოცნების“ მხრიდან, ნახევარზე მეტი ოფიციალური აგენტია თავისი მეტსახელებით. პრინციპში, აგენტურაა ნახევარი.

– თავად იმ წერილზე რას იტყოდით, რომელსაც სუს-ის ყოფილი თანამშრომელი ავრცელებს. იქ ნათქვამია, რომ ეგონა ყველაფერი შეიცვლებოდა და ვინც სისტემაში მიდის, მას სხვანაირად ჰგონია და ა. შ. გამოდის, რომ რაღაც ჩაკეტილი სივრცეა და ადამიანებს ითრევს?

– არაფერი ჩაკეტილი სივრცე არ არის. ეგ არის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრობლემა. ჩვენ როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, აზრადაც არ მქონია მე პირადად, რომ შესაძლებელი იყო ამის კიდევ გამეორება. ეს პრაქტიკა არსებობდა წინა ხელისუფლების დროს და ვიცოდით, რომ ყველას გვისმენდნენ. ხალხს რაღაცის ლაპარაკი რომ უნდოდა, ტელეფონს თიშავდნენ, ალბათ თქვენც გახსოვთ ეს დრო. მაგრამ ეს უნდა დამთავრებულიყო და იმ კოალიციის ოფიციალური განაცხადიც ასეთი იყო. თუმცა, მე ვიტყოდი, რომ პირველივე წლებიდანვე – 2013 წლიდანვე დაიწყო ძალიან აქტიური გამოყენება და პირადად ბიძინა ივანიშვილისგან მოდიოდა ეს ინიციატივები.

ვერ ვიტყვი, რომ კოალიციაში მყოფი პროდასავლური პარტიები ამას მარტივად შევხვდით, პირველ რიგში კი „რესპუბლიკური პარტია“ და „თავისუფალი დემოკრატები“ მყავს მხედველობაში, მაგრამ ივანიშვილს არ შეხვდა სათანადო წინააღმდეგობა. რაღაცნაირად გაუმართლებელი დათმობები გავაკეთეთ მაშინ.

– რატომ დაუშვით ეს? ივანიშვილის ავტორიტეტის გამო?

– ბიძინას ავტორიტეტის და ბევრი სხვა ფაქტორის გამო. „რესპუბლიკური პარტია“ სხვებთან შედარებით რაღაცას ამბობდა და სხვები საერთოდ არაფერს არ ამბობდნენ, ოდნავი პროტესტიც არ ყოფილა ამის თაობაზე.

– მათ შორის არც „თავისუფალი დემოკრატების“ მხრიდან?

– მაინცდამაინც არც მაგათგან არ ყოფილა დიდი პროტესტი, სანამ არ შეეხნენ ირაკლი ალასანიას. როდესაც ალასანიას შეეხნენ, მერე წავიდნენ ოპოზიციაში. ჩვენთანაც ასე იყო და არ დავიწყებ ახლა გარჩევას, მაგრამ, პრინციპში, დანაშაულის ტოლფასი დათმობა იყო ჩვენი მხრიდან და დღემდე განვიცდი ამას.

ვიცოდით, ეს ხომ არ ყოფილა ის, რომ არ ვიცოდით?! მაგალითად, 2014 წლის არჩევნები როდესაც იყო, გვითხრეს, რომ სუსი შეარჩევდა კანდიდატურებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რაზეც კატეგორიული უარი ვუთხარით და ბევრი კონფლიქტიც მოხდა მაშინ.

– მაშინ იყო სამნიძის განცხადება, რასაც განხილვებიც მოყვა და მედიის ინფორმაციით, შიგნით თითქოს ივანიშვილმა უსუფაშვილს უთხრა, რომ ან გაჩუმებულიყო სამნიძე, ან წასვლა შეგეძლოთ. რეალურად ასეთი გარჩევები იყო?

– შეგიძლიათ წახვიდეთო, ივანიშვილს არასოდეს უთქვამს. პირიქით, ფიგურალურად რომ ვთქვა, 2016 წლამდე ის ოქროს თევზს ჰპირდებოდა დათო უსუფაშვილს. ყველაფრის დათმობაზე თანახმა იყო სიტყვიერად, მეორე დღეს გადათქვამდა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ნათელი იყო, საით მიდიოდა ყველაფერი. ხდებოდა სასამართლოს და სუსის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის. თუ ადრე ამას აკეთებდა პრეზიდენტი და უშუალოდ სახელმწიფო პირები, ახლა ეს უნდა გაეკონტროლებინა ვითომ პოლიტიკიდან წასულ ივანიშვილს და მისი კერძო კანტორა ყოფილიყო. რეალურად კანტორაა, თუ დააკვირდებით, პოლიტიკოსებზე მეტად ბიზნესმენებს უსმენენ, რადგან ივანიშვილი ბიზნესმენია და აინტერესებს, რა ხდება ბიზნესში. ასე რომ, ჩვენი ბრალიც არის. არა მარტო ჩვენი, მაგრამ ჩვენი მხრიდან პირველივე შეხვედრაზე უნდა ყოფილიყო კატეგორიული პროტესტი.

„გახარიამ შეიძლება მესამე ადგილი აიღოს“

თამარ ჩხეიძე: „ფეისბუქში ჩემს აქტიურობას უცნაური გაგრძელება მოჰყვა“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

– როგორ დაახასიათებთ წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციას და წინასაარჩევნო კამპანიას?

– ყველამ იცის, რომ ეს ჩვეულებრივი არჩევნები არ არის. სიტუაციაც შესაბამისია. ხელისუფლება ყოველი არჩევნების წინ აშინებს ხალხს და მიმართავს მოსყიდვას. ეს ამჯერადაც გამოიყენება. ვხედავთ პარტიული სიების დაშლის პროცესს.

– გულისხმობთ იმას, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიიდან პარტიულ სიაში ჩასმული ხალხი სადღაც გარბის?

– დიახ. ხდება ამ ადამიანების დაშინება ან მოსყიდვა. ადამიანი ანგელოზი არ არის, რომ ამ ყველაფერს გაუძლოს. ამიტომ, ხალხი დაშინებას და მოსყიდვას ექვემდებარება. მაკვირვებს ის, რომ ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ამაზე შესაბამისი რეაგირება არ არსებობს.

– ეს ფაქტები შუქდება.

– ამაზე ინფორმაცია ისე ვრცელდება, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია. არადა, ძალადობა, დაშინება, მოსყიდვა საგანგაშო და უკანონოა. ამას უნდა მოჰყვეს ხმაური და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. ისე ხდება, თითქოს ვიღაც ვალს იხდიდეს – ამაზე ითქვა და მორჩა.

–2 ოქტომბერს მთლად ჩვეულებრივი არჩევნები არ გველის, თუმცა ჩამოთვლილი მეთოდები, ასევე საკაშვილის მიერ გამოთქმული ჩამოსვლის ანონსები, ადრეც ყოფილა.

– ამ ეტაპზე საზოგადოებაში განსაკუთრებულ მუხტს ვერ ვგრძნობ. პოლიტიკა საერთოდ სარისკოა, მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მიხელ სააკაშვილის ჩამოსვლა მეტისმეტად სარისკო გახდეს. ვსაუბრობ ამ მომენტზე. ისე, სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და საპროტესტო მუხტი აგორდეს.

– სააკაშვილის დასახვედრად სახალხო მოძრაობაც კი შეიქმნა.

– თაკო ჩარკვიანმა განაცხადა მოძრაობის შესახებ. სრულიად ვეთანხმები ამ მოძრაობის მოთხოვნებს. ვიზიარებ მოწოდებებს, რომ შეწყდეს მიხეილ სააკაშვილის სამართლებრივი დევნა. მის მიმართ გამოტანილი განაჩენები და გაჟღერებული ბრალდებები ღიმილის მომგვრელია. მას ედავებიან პიჯაკებსა და სამგლოვიარო გვირგვინებს. მესამე პრეზიდენტს უნდა მიეცეს საქართველოში ჩამოსვლისა და პოლიტიკაში მონაწილეობის სრული უფლება. რაც შეეხება არჩევანს, ამას ხალხი გააკეთებს. ამომრჩეველი არჩევნებს გადაწყვეტს, ვის მისცეს ხმა. როგორც გითხარით, საპროტესტო მუხტს ამ მომენტში ვერ ვამჩნევ, თუმცა მუხტის წარმოქმნა ხანდახან მოულოდნელად ხდება და, შესაძლოა, მალე ასეც მოხდეს.

– „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ გიორგი გახარიას პარტიასთან კოალიციას არ გეგმავს. რას იტყვით?

– ამას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ადრეც ამბობდნენ.

– რა შანსები ექნება გახარიას?

– ვფიქრობ, რომ ის ბევრ ხმას აიღებს. მოსალოდნელია, რომ გახარიამ აიღოს მესამე ადგილი.

– ფეისბუქში თქვენი გვერდის დაბლოკვასაც შევეხოთ. მოახერხეთ მისი აღდგენა?

– სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ მოვახერხე. მოგეხსენებათ, ჩემი გვერდი გატეხეს და ფოტო რაღაც უხამსი ფოტოგრაფიით შემიცვალეს. ფეისბუქს თავისი კანონები აქვს და გამომიცხადეს, რომ სამი დღით მიბლოკავენ გვერდს. მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. არაერთხელ გავაგზავნე მოთხოვნა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მომწერეს, რომ დიდი დრო იყო გასული. ეს ისე მითხრეს, თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს. მე დაზარალებული ვარ. თუ ორიოდე გაზეთს არ ჩავთვლით, ჩემს აზრებს ფეისბუქში გამოვხატავდი. განსაკუთრებით აქტიური არ ვყოფილვარ. ეტყობა, ჩემი მოსაზრებები ვიღაცას ხელს უშლის. ტელევიზიებიც ჩაკეტილია ჩემთვის. სამწუხაროა, რომ ფეისბუქი არ გაერკვა საქმის ვითარებაში (შესაძლოა, ამის დრო არც აქვს) და გვერდი გამიუქმეს. საზოგადოებრივი აზრის ასეთი დადაკეტვა არ შეიძლება. ამის გამო პროტესტს გამოვთქვამ.

„სუსი მოსაყდრე შიოს, ანდრია ჯაღმაიძეს, შორენა თეთრუაშვილს უსმენს და უთვალთვალებს“

რა ჩანაწერები ვრცელდება ინტერნეტში

ინტერნეტსივრცეში ფარული მიყურადების შესახებ მორიგი ინფორმაცია ვრცელდება – დოკუმენტებში, რომელთაც, სავარაუდოდ, სუსის ყოფილი თანამშრომელი ავრცელებს, პირდაპირ არის აღწერილი კონკრეტული ადამიანების პირადი ცხოვრება.

„მთავარი არხის“ ცნობით, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მაღალი იერარქიის სასულიერო პირების სექსუალური ორიენტაციისა და მათი წარსულის შესახებ.

დოკუმენტებში საუბარია პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილზე, მოსაყდრე შიოზე, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ანდრია ჯაღმაიძესა და პატრიარქთან დაახლოებულ სხვა პირებზე.

ირკვევა, რომ პირდაპირ კონტროლდება მათი გადაადგილება და საბანკო ანგარიშებიც.

ტვ პირველის ცნობით, გავრცელებულ სკანდალურ ფაილებში საუბარია ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრიზეც.

ჩანაწერის მიხედვით, მეუფე დიმიტრი შიოლაშვილი პატრიარქის მდივან-რეფერენტს, შორენა თეთრუაშვილს, სთხოვს, სხალთის ეპარქიის ხელმძღვანელი, მეუფე სპირიდონი „ეპარქიიდან მოიშორონ“ და მის ნაცვლად ამავე ეპარქიის მღვდელმსახური მირიან სამხარაძე დანიშნონ.

ჩანაწერის მიხედვით, პატრიარქის ძმისშვილმა თეთრუაშვილისგან უარი მიიღო, რადგან თეთრუაშვილის თქმით, ამის გამო ეკლესიაში სერიოზული ძვრები მოხდებოდა – „აირეოდა მონასტერი“.

ბოლო დროს დიმიტრი შიოლაშვილი უარყოფითად აფასებს სხალთის ეპარქიაში არსებულ მდგომარეობას. რის გამოც მან შორენა თეთრუაშვილს შესთავაზა სპირიდონ აბულაძის სხალთის ეპარქიიდან ჩამოშორება და მის ნაცვლად ამავე ეპარქიის სასულიერო პირ მირიან სამხარაძის კანდიდატურა.

„მიტროპოლიტის ეს ინიციატივა უარყოფილ იქნა, ვინაიდან ცვლილებას შეეძლო, გამოეწვია რეზონანსული ძვრები ეკლესიაში“ – აღნიშნულია საიდუმლო ფაილების სტენოგრამაში.

ირაკლი კობახიძე: „სააკაშვილი საზღვრიდან ლამაზად მოხვდება ციხეში“

– არ დაგვჭირდება არავითარი ძალის გამოყენება, საზღვრიდან ლამაზად მოხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ძალიან ლამაზად გაკეთდება ეს ყველაფერი.

ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ კითხვას, გეგმავს თუ არა ხელისუფლება ძალის გამოყენებას მიხეილ სააკაშვილის დასაკავებლად იმ შემთხვევაში, თუ ის საქართველოში ჩამოვა.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს, „სიმხდალის გამო“ არაერთხელ გაუცრუებია საკუთარი ამომრჩევლისთვის იმედი და, სავარაუდოდ, ვერც ახლა შეძლებს, თავისი დანაპირების შესრულებას საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, კობახიძემ არასარწმუნოდ ჩათვალა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის ჩამოსვლის შემთხვევაში, მას 40 ათასამდე მხარდამჭერი დაიცავს.

– ამას პირდება ის საკუთარ მხარდამჭერებს უკვე არაერთი წელია, თუმცა ყოველ ჯერზე გაუცრუა მან იმედები საკუთარ ამომრჩეველს. ვიცით, რომ მხდალია, მშიშარაა და აქედან გამომდინარე, ალბათ, გაუჭირდება ამ შემთხვევაშიც ამ ანონსის შესრულება, თუმცა ვნახოთ, თუ შემოვა, ამ შემთხვევაში მას მიეჩინება ის ადგილი, რომელიც უნდა მიეჩინოს.

ძალის გამოყენება არის ის, რაც სჭირდება სამართალდამცველ ორგანოს, რომ ნებისმიერი კრიმინალი დააკავოს. თუმცა არ დაგვჭირდება არავითარი ძალის გამოყენება, ლამაზად, საზღვრიდან მოხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ძალიან ლამაზად გაკეთდება ეს ყველაფერი.

რა 40 ათასი ადამიანი აპირებს მის დაცვას, 5 ათასი კაცი ვერ შეკრიბეს, აქციები როცა ჰქონდათ გამართული! – განაცხადა კობახიძემ.

მამუკა მდინარაძე: „ვიხილეთ მორიგი თავდასხმა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე“

– ნაციონალური მოძრაობისა და მისი კუთვნილი ტელეკომპანიების მხრიდან ვიხილეთ მორიგი თავდასხმა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე, ვიხილეთ სახელმწიფოსა და ეკლესიის დაპირისპირების კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ გუშინ, 13 სექტემბერს, ბრიფინგზე განაცხადა.

– სააკაშვილი, ბოკერია, გვარამია, მელაძე და ჩვენი დროის სხვა ბოლშევიკები უკვე დიდი ხანია ცდილობენ ჩვენი ეროვნული იდენტობის საფუძვლების შერყევას, თავს ესხმიან სახელმწიფოსა და ეკლესიას, თუმცა, მათი ყველა ეს მცდელობა წარუმატებლობისთვის არის განწირული.

ქართულმა სახელმწიფომ და ეკლესიამ მრავალი საუკუნის მანძილზე გაუძლო მრავალი იმპერიის შეტევას და, ბუნებრივია, ამ სასოწარკვეთილი ნეობოლშევიკების შეტევასაც გაუძლებს და მათთან გამკლავებაც არ გაუჭირდება.

ფარული თვალთვალი და მოსმენა, ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევა, ინფორმაციის ფაბრიკაცია და ცრუ ბრალდებების „შეკერვა“, ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაკეთებული ჩანაწერების ოპოზიციაში ყოფნის დროს გამოქვეყნება, უკვე წლებია ამ პოლიტიკური ძალის ხელწერად იქცა. თუმცა, ამ მეთოდებით მათ ვერც სახელმწიფოს და ვერც ეკლესიის დისკრედიტაცია ვერ შეძლეს. ეს მათ არც მომავალში გამოუვათ.

ქართული სახელმწიფო, საქართველოს ხელისუფლება და ქართული საზოგადოება დგანან და იდგებიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაციის სადარაჯოზე.

ნაციონალურ მოძრაობას, ქართული სახელმწიფოს და ეკლესიის მტრებს, 2 ოქტომბრის არჩევნებში ქართული საზოგადოება საკადრის პასუხს გასცემს.

ჩვენი მხრივ, ქართულ საზოგადოებას ვაძლევთ მყარ გარანტიას, რომ საქართველოს ხელისუფლება მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ იდენტობას და ეროვნულ ინტერესებს, – განაცხადა მდინარაძემ.

მდინარაძის თქმით, მოდელირებულ რეალობასთან გვაქვს საქმე.

– თავად ჩაწერეს, თავად ავრცელებენ, თავად ჭრიან და კერავენ, თავად ამზადებენ ამ ჩანაწერებისგან ფაბრიკაციას. თუკი სადმე ამ ინფორმაციაში რეალური ინფორმაციაც გამოერევა – ესეც ნათელი გახდება. მოდელირებულ რეალობასთან გვაქვს საქმე, ამას თავისი ავტორები ჰყავს, შემდეგ თავად ადასტურებენ ამას, თავად ცნობენ საკუთარ თავს ამაში და ყველა შემთხვევაში ეს არეული და გაუგებარი ჩანაწერები და მათი ე.წ. გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, ფაბრიკაცია რადგან არის, ჩვენი ვარაუდით, უმეტესი ნაწილი, ამიტომ ვსაუბრობთ ასე, ემსახურება ერთადერთ რაღაცას, რომ სახელმწიფო და ეკლესია იყოს თავდასხმის ობიექტი, მისი დისკრედიტაცია მოხდეს და მოხდეს დაპირისპირება მათ შორის – ეს არ გამოუვათ არასდროს იმიტომ, რომ უკვე წლებია ამას აკეთებენ, წლებია ამ კამპანიაში ჩართეს თქვენი კოლეგები, მაგრამ საბედნიეროდ ამ მიზანს ვერ აღწევენ, – განაცხადა მდინარაძემ.

გახარია: „ჩემ ნარკოტესტზე პროვოკაცია მზადდებოდა“

„ტესტს გერმანიაში ჩავიტარებ“

პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე და მერობის კანდიდატი გიორგი გახარია ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ მისი ნარკოტესტის გაყალბებასა და პროვოკაციას აპირებდა.

გახარიამ ანალიზის ჩაბარება საერთაშორისო ლაბორატორიაში გადაწყვიტა და მიღებულ შედეგს გაასაჯაროვებს.

– ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია პირდაპირ სამხარაულის ბიუროდან იმ პროვოკაციის შესახებ, რომელიც მზადდებოდა „ოცნების“ გამოძიების მიერ დაგეგმილ ტესტირებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გამეკეთებინა მე. იმისთვის, რომ არ მივცეთ არავის ასეთი სპეკულაციების შესაძლებლობა, მე არ ჩავაბარებ ამ ტესტს არაკომერციულ ლაბორატორიაში, არამედ გადავდგამ ამ ნაბიჯს, დავკარგავ ერთ მნიშვნელოვან დღეს წინასაარჩევნო კამპანიის, საერთაშორისო ლაბორატორიაში ჩავაბარებ თმის ანალიზს, რომელიც არის ყველაზე უტყუარი, დროში ინახავს მონაცემებს, პასუხი გვექნება 2 კვირაში და ინფორმაცია იქნება საჯარო, – თქვა გახარიამ.

თბილისში 3 მოზარდი დაჭრეს

გუშინ, 13 სექტემბერს, თბილისში სადგურის მოედანზე 3 არასრულწლოვანი დაჭრეს.

დაჭრა ცივი იარაღით მოხდა. დაპირისპირება ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის მოხდა. უთანხმოების მიზეზი კი მოზარდებს შორის მუსიკალური გემოვნება გახდა.

– დავინახე დასისხლიანებული ბავშვები. სამივე ბავშვს სისხლი ჰქონდა ხელებზე, მაგრამ მაგათი იყო თუ იმ ბიჭის, რომელსაც მუცელში შეარჭვეს სპიცი, არ ვიცი, – ყვება „კურიერთან“ ერთ-ერთი თვითმხილველი.

– სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112-ის მიერ 3 არასრულწლოვანია შემოყვანილი, 15, 15 და 13 წლის ბიჭები, ბასრი იარაღით მიყენებული ჭრილობებით. დაზიანებები ურთიერთშეღაპარაკების საფუძველზეა მიღებული. ამ ეტაპზე ჭრილობები შეფასდა როგორც ზედაპირული და ოპერაციულ ჩარევას არ საჭიროებენ.

პირველადი დახმარება გაეწიათ გადაუდებელ დეპარტამენტში და შემდგომი მონიტორინგის და კვლევის მიზნით, დაკვირვებას გააგრძელებენ სტაციონარში, – განაცხადა ექიმმა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლით დაიწყო, რაც მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები.

ჩატარდა საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები.

ბათუმში ქართველმა მამაკაცმა ბელარუსი ტურისტი ქალი დაჭრა და მერე თავი მოიკლა

ბათუმში, დელფინარიუმის წინ, ბულვარში, ტურისტი ქალი დაჭრეს.

ტურისტ ქალს ჭრილობები ახალგაზრდა კაცმა ცივი იარაღით მიაყენა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

დანაშაულის მოტივი, სავარაუდოდ, ეჭვიანობაა. ახალგაზრდა ქალი ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას ჭრილობა გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული. მისი მდგომარეობა სტაბილურია. შემთხვევა გუშინ, 13 სექტემბერს, დილით მოხდა.

ქართველმა მამაკაცმა და ბელარუსმა ტურისტმა ქალმა ერთმანეთი 5 დღის წინ გაიცნეს. გუშინ დილით ტურისტი სავარჯიშოდ გამოვიდა. ქართველმა მამაკაცმა 33 წლის ბელარუს ტურისტს ბულვარში ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება, ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

ლინდა თოლორაია: „ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ყველა შემთხვევა შესწავლილ უნდა იქნას“

ბოლო პერიოდში სისტემური ხასიათი მიიღო სხვადასხვა პირთა მიმართ სავარაუდო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტების ამსახველი მასალების სხვადასხვა ფორმით გასაჯაროების ფაქტებმა.

ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფროსმა, ლონდა თოლორაიამ განაცხადა.

მისი თქმით, ბოლო დროს გავრცელებული დოკუმენტური მასალა კითხვის ნიშნებს აჩენს სხვადასხვა პირთა მიმართ უკანონო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ.

როგორც ლონდა თოლორაიამ აღნიშნა, მსგავსი ფაქტები საჭიროებს გამოძიებას შესაბამისი უწყების მხრიდან.

– პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და იგი გარანტირებულია როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით. აღნიშნულ უფლებებში ისეთი ინტენსიური ფორმით ჩარევა, როგორიც არის პირის მიმართ ფარული მიყურადება ან/და თვალთვალი, ექვემდებარება განსაკუთრებულ კონტროლს და მისი განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით მკაცრად გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი, პროპორციული და უკიდურესი საშუალებაა.

სამწუხაროდ, ბოლო დროს გავრცელებული აუდიო/ვიდეოჩანაწერები და დოკუმენტური მასალა ბადებს კითხვის ნიშნებს სხვადასხვა პირთა მიმართ უკანონო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. აღნიშნული ფაქტები საჭიროებს კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოს მხრიდან დროული გამოძიების ჩატარებას მათი ავთენტურობის დადგენისა და ავთენტურობის დადასტურების შემთხვევაში, უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის პროცესში ჩართულ ყველა პირთა იდენტიფიცირებისა და დასჯის მიზნით.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციით მანიპულირების ყველა ფორმა საფრთხეს უქმნის პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობას, ადამიანებში აჩენს პირადი სივრცის დაუცველობის განცდას, ხელყოფს ადამიანის ღირსებას, უზღუდავს მას ქცევას და დამანგრეველ გავლენას ახდენს მის ემოციურ მდგომარეობაზე. ამასთან, ასეთი მასალების გასაჯაროება ამცირებს და აქრობს საზოგადოების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფარული მიყურადებისა და თვალთვალის კანონიერად ჩატარებაზე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელსაც მინიჭებული აქვს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის ფუნქცია, აკონტროლებს მოსამართლის განჩინებისა ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით მიმდინარე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. სამსახურის კომპეტენცია მთავრდება იქ, სადაც იკვეთება დანაშაულის ნიშნები. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საზედამხედველო უფლებამოსილება არ ვრცელდება სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია საკანონმდებლო მექანიზმებსა და ბერკეტებს, შეისწავლოს საკანონმდებლო მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევით განხორციელებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს 2017 წლის 1 ივნისს №231 სარჩელს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან, კომპიუტერულ მონაცემებთან, მონაცემთა ბანკთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწას და შექმნის ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მყარ გარანტიებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საგამოძიებო ორგანოს, გამოძიების ჩატარების გზით, დროულად შეისწავლოს ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ყველა საეჭვო შემთხვევა, რათა პასუხი გაეცეს საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს, საზოგადოებას დაუბრუნდეს მათი პირადი ცხოვრების დაცულობის შეგრძნება და აღდგეს ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ. .

„დავით კოდუაზე ცოლი და შვილი ამბობდნენ, რომ მას საყვარელი ჰყავდა და ამის გამო მათ სცემდა“

სასამართლოზე გამომძიებელი ერასტი ჯაკობია დაიკითხა

ცოლისა და შვილის ძალადობის საქმეზე ბრალდებული ბიზნესმენის, დავით კოდუას საქმის გამომძიებლის, ერასტი ჯაკობიას ჩვენებით, ფიზიკური დაზიანება აღენიშნებოდა როგორც კოდუას მეუღლეს, ნათია გედევანიშვილს, ასევე მის შვილს, ეკატერინე კოდუას.

როგორც გამომძიებელმა სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას განაცხადა, ეკატერინე კოდუა სახის მარჯვენა არეში დაზიანებას აფიქსირებდა და მას სინწითლე აღენიშნებოდა.

გამომძიებლის თქმითვე, მათ დაზარალებული დედა-შვილი იმავე დღეს გამოკითხეს.

– გამოძიება შეტყობინების საფუძველზე დავიწყეთ, რომელიც ნათია გედევანიშვილის და ეკატერინე კოდუას მიმართ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობას შეეხებოდა. გამომძიების დაწყებიდან იმავე დღეს გამოიკითხნენ ნათია გედევანიშვილი და ეკატერინე კოდუა. მათ დაადასტურეს დავით კოდუას მიერ ფიზიკური ძალადობის ფაქტი. ინციდენტი ხდებოდა საცხოვრებელ სახლში. ემოციურ ფონზე ნამდვილად იყვნენ, არ ეამაყებოდათ, რომ ამ ვითარებაში ჩავარდნენ, კითხვებს ადეკვატურად პასუხობდნენ.

ფიზიკურად დაზიანება აღენიშნებოდა როგორც ქალბატონ ნათია გედევანიშვილს, ასევე ეკატერინე კოდუას, ის მარჯვენა სახის არეში აფიქსირებდა დაზიანებას და სინწითლე აღენიშნებოდა. დაზიანების წარმომავლობასთან დაკავშირებით, დავუსვით კითხვები და აღწერეს, თუ რა გარემოებაში მიიღეს. მათი თქმით, ოჯახური კონფლიქტი ჰქონდათ, რა დროსაც დავით კოდუამ მეუღლეს დაზიანება მიაყენა მათ შორის, ფეხის არეში და ასევე, ეკატერინე კოდუას. მე ფაქტს არ შევსწრებივარ, რასაც დაზარალებულები ყვებოდნენ, ამ ფაქტს გაწვდით.



როგორც ეკატერინე კოდუა აცხადებდა, ის ჩაერთო კონფლიქტში და დედას იცავდა, როდესაც მას კოდუამ დაარტყა, – განაცხადა ჯაკობიამ.

პროკურორის კითხვაზე, თუ რა იყო ძალადობის მოტივი, გამომძიებელმა უპასუხა, რომ ეს პირადულია.

– დაზარალებულები ამბობდნენ, რომ ბატონ დავით კოდუას საყვარელი ჰყავდა, მის ვინაობასაც ასახელებდნენ და ამის გამო ჩვენ გვცემსო, – განაცხადა ჯაკობიამ.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ბიზნესმენი დავით კოდუა მეუღლის და შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დააკავა. კოდუას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) განესაზღვრა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან-სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დავით კოდუას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს სანაცვლოდ აქვს შეცვლილი.

შსს-მ იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, თბილისსა და ქუთაისში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს და სამი პირი დააკავეს.

შსს-ის ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ტ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და ავტომობილის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, „ტტ“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 22 ვაზნა ამოიღეს.

ასევე, თბილისში დააკავეს 1995 წელს დაბადებული ი.ბ. ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა. პოლიციამ, მისი პირადი ავტომობილის ჩხრეკისას, კუსტარულად დამზადებული პისტოლეტი, მჭიდი და 4 საბრძოლო ვაზნა ამოიღო.

როგორც უწყებაში აცხადებენ, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1972 წელს დაბადებული გ.ს. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ცაგერის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „ეფ1“-ის ტიპის ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ერაყელი შეიხი ქართველმა მარიკამ გაძარცვა

ცნობილია მისი 3 თანამზრახველის ვინაობა

ცნობილი ხდება იმ ქართველების ვინაობა, რომლებმაც ერაყის ქალაქ დიუოკში შეიხის სახლი გაძარცვეს და 2 მილიონ 600 ათასი დოლარი, ასევე, 4 კგ ოქრო მოიპარეს.

ვინმე მარიკამ 3 სექტემბერს, 3 თანამზრახველთან ერთად შეიხის სახლში მასშტაბური ძარცვა განახორციელა.

ადგილობრივი პრესის ცნობით, ძარცვაში მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის მკვიდრმა, 1986 წელს დაბადებულმა თენგიზ შაინიძემ, ლენტეხის მკვიდრმა, 1994 წელს დაბადებულმა ცოტნე მჭედლიძემ და ცაგერის მკვიდრმა, 1987 წელს დაბადებულმა აკაკი საგინაძემ.

პოლიციამ ნაქურდალი ამოიღო, თუმცა, ქალის დაკავება ვერ მოხერხდა, რადგან მან თავი თურქეთს შეაფარა, თან კი 20 000 ათასი აშშ დოლარი წაიღო.

ინფორმაციას პრაიმტაიმი ავრცელებს.

ბათუმის გეზში სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „ბათუმი“ კანონდარღვევის ფაქტი გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კომპანიის მიერ, შემოტანილ სხვადასხვა სახეობის ტვირთზე, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის მიმართ რისკების მართვის პროგრამის ფარგლებში, წითელი დერეფანი განესაზღვრა.

„საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“-ს უფლებამოსილი პირის მიერ, აღრიცხვის მოწმობის თანმხლები დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთის შემოსვლისას წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაცია) და ტვირთის ფიზიკური დათვალიერების შედეგად, გამოვლენილი იქნა 3.950 კილოგრამი არადეკლარირებული ტანსაცმელი, რომლის საბაჟო ღირებულებამ საერთო ჯამში 192.039 ლარი შეადგინა. ამასთან, გამოვლინდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში სასაქონლო ნიშნების შესაძლო უკანონო გამოყენების ფაქტი.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

სროლა კეკელიძის ქუჩაზე

12 სექტემბერს ღამით, თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე სროლა იყო. არსებული ინფორმაციით, სროლას წინ დაპირისპირება უძღოდა, გასროლა კი პნევმატური იარაღით მოხდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. გამოძიება 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებულია და აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

ზელენსკი: „ბაიდენს ნატოში გაწევრიანებაზე პირდაპირ დავუსვი შეკითხვა“

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონში ამერიკის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან შეხვედრისას უკრაინის ნატოში წევრობის საკითხი განიხილეს.

– მე პრეზიდენტ ბაიდენს პირდაპირ ვკითხე უკრაინის ნატოში წევრობაზე და იმაზე, თუ როდის შეძლებს ქვეყანა გაწევრიანებას. მან თქვა: ჩემი აზრით, თქვენ მისი წევრი უნდა იყოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არ არის, – გაიხსენა უკრაინის პრეზიდენტმა.

როგორც მან აღნიშნა, ჯო ბაიდენის ეს პოზიცია და რიტორიკა მისთვის ცნობილი ვაშინგტონში ვიზიტამდეც იყო.

ტელეწამყვანთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ ბაიდენის პრიორიტეტული ქვეყნების სიაში ყოფნა კარგის ნიშანია, თუმცა სიგნალების გარდა, მათ ქმედებების მოლოდინიც აქვთ.

ორი ქვეყნის ლიდერი ერთმანეთს 1 სექტემბერს, თეთრ სახლში შეხვდა. გამართულ შეხვედრაზე ბაიდენმა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ინტეგრაციის მხარდაჭერას კვლავ გაუსვა ხაზი. ვლადიმერ ზელენსკიმ ოფიციალური შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, რომ ის ამერიკის პრეზიდენტს ნატოში წევრობისათვის მხარდაჭერას სთხოვდა.

გუტერეში: „ავღანელებს ყველაზე საშიში პერიოდი ელოდებათ“

ათწლეულების განმავლობაში ომის, ტანჯვისა და დაუცველობის შემდეგ, ავღანელებს ალბათ ყველაზე საშიში პერიოდი ელოდებათ.

ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა ჟენევაში ავღანეთის საკითხზე მიმდინარე პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– დღეს ყოველმა მესამე ავღანელმა არ იცის, საიდან მოვა მათი საკვები, სიღარიბის მაჩვენებელი სპირალურად იზრდება და ძირითადი საჯარო სამსახურები დაშლის პირასაა. ასობით ათასი ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლი. ამავდროულად, ავღანეთს ძლიერი გვალვა ემუქრება. ბევრი ადამიანი მიმდინარე თვის ბოლომდე, შესაძლოა, საკვების გარეშე დარჩეს, – აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

გაერო საერთაშორისო საზოგადოებას ავღანეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაციის განცხადებით, იმისთვის, რომ ქვეყანა დიდ ჰუმანიტარულ კრიზისს გადაურჩეს, საჭიროა მისთვის, დახმარების სახით, 600 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხის მობილიზება.

ნიგერიაში ციხეს თავს დაესხნენ
266 პატიმარი გაიქცა

შეიარაღებულმა პირებმა ნიგერიაში, კოგის შტატში ციხე დაარბიეს, რის შედეგადაც საპატიმროდან 266 პატიმარი გაათავისუფლეს. სასჯელაღსრულების სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, თავდამსხმელებმა იერიში ცეცხლსასროლი იარაღით ციხის დაცვის თანამშრომლებზე მიიტანეს. თავდასხმის შედეგად დაკავებულთა უმეტესობა ციხიდან გაიქცა. თავდასხმას ჯარისკაცი და პოლიციელი ემსხვერპლნენ, ციხის დაცვის 2 წევრი კი დაკარგულად ითვლება. შენობაში აფეთქების დროს სულ 294 პატიმარი იმყოფებოდა.

პრაღაში ყირიმის ანექსიის მონაწილე დააკავეს

პრაღაში ყირიმს ანექსიის მონაწილე ალექსანდრე ფრანჩეტი დააკავეს. ეს დაკავება უკრაინის მოთხოვნით და საერთაშორისო ორდერით მოხდა.

ფრანჩეტი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დახურულ ბალაქლავაში გამოწყობილმა კიმ კარდაშიანმა ინტერნეტ-მომხმარებლები გაამხიარულა

ერთიანად შავი ფერის სამოსში გამოწყობილი ამერიკელი ტელევარსკვლავი და მეწარმე კიმ კარდაშიანი პაპარაცების ობიექტივში მოხვდა და სოციალურ ქსელებში მემად იქცა.

40 წლის ტელევარსკვლავი ნიუ-იორკში მოდის კვირეულის დროს სასტუმრო ღიტზ ჩარლტონ-ში შესახლების დროს აღბეჭდეს. მას ეცვა Balenciaga-ს მარკის ტყავის კოსტიუმი, რომელიც შედგება კომბინეზონის, ლაბადის, ხელთათმანების, ქუსლიანი მაღალი ბოტფორტის და დახურული ლითონის ელვაშესაკრავიანი ბალაქლავისგან.

ინტერნეტ-მომხმარებლები კარდაშიანის გარეგნობამ გაამხიარულა. ისინი მას პოპულარული ფილმების და ვიდეოთამაშების გმირებს ადარებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა კარდაშიანი ბენომის კომიქსებიდან ბოროტ პერსონაჟს შეადარა. კიდევ ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა მასში მუტანტი ნემეზისი ამოიცნო ზომბი-თამაშიდან Resident Evil-დან. მესამემ კი კიმი „ვარსკვლავური ომების“ საგას პერსონაჟ დარტ ვეიდერს შეადარა.

მამაკაცმა ეკლესიის გამო უარი თქვა ჰომოსექსუალობაზე

ამერიკის არიზონას შტატის მკვიდრმა მორმონმა ნიკოლას ეპლგეიტმა საკუთარ ჰომოსექსუალობაზე უარი თქვა ეკლესიის გამო და ბავშვობის მეგობარ გოგონაზე იქორწინა.

23 წლის ნიკოლასმა განაცხადა, რომ თანამორწმუნე ჯორდანს ბავშვობიდან იცნობს. 2020 წლის მარტში მათ ურთიერთობა განაახლეს და მალე მამაკაცმა აღიარა, რომ გეი იყო. ვინაიდან ეკლესია ურთიერთობის დაწყებას მხოლოდ მოზრდილ ასაკში უშვებს, ხოლო ქორწინებამდე სექსი აკრძალულია, მამაკაცი საკუთარი ორიენტაციის დამალვას ახერხებდა. ნიკოლასის აღიარებას ხელი არ შეუშლია ჯორდანთან ურთიერთობისთვის და რამდენიმე თვის შემდეგ წყვილი დაქორწინდა.

– საკუთარ ჭეშმარიტ არსს არ უარვყოფ, როდესაც ეკლესიური დოგმატებით ვცხოვრობ. საკუთარ ჭეშმარიტ არსს მაშინ უარვყოფ თუ ევანგელიზმის კანონებით არ ვცხოვრობ და ეკლესიას ჰომოსექსუალობის გამო ვტოვებ, – განაცხადა ნიკოლასმა. წყვილის თქმით, ისინი ქორწინებაში თავს ბედნიერად გრძნობენ, ბევრი საერთო გატაცება და ცხოვრებაზე მსგავსი შეხედულება აქვთ. ოქტომბერში წყვილს პირველი შვილი შეეძინებათ.

მამაკაცმა ყველაზე საშიში მედუზა შიშველი ხელებით ხელში აიყვანა

ავსტრალიის მკვიდრმა მსოფლიოში ყველაზე საშიში მედუზა ხელში აიყვანა იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება მისგან დასუსტვისთვის თავის არიდება.

ვიდეოჩანაწერში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ტერიტორიაზეა გადაღებული, ჩანს, თუ როგორ უდარდელად უჭირავს შიშველი ხელებით სიცოცხლისთვის საშიში შხამიანი მედუზა ადგილობრივ მკვიდრს სახელად ჯაკოს. ის კუბომედუზას კამერას უშვერს, რის შემდეგ მას ზღვაში აგდებს.

– მე საკმარისად შეშლილი ვარ იმისთვის, ვიფიქრო, რომ იმუნიტეტი გამაჩნია, – განაცხადა ავსტრალიელმა.

ჯაკოს თქმით, მას უამრავი დამწვრობა დარჩა სხეულზე კუბომედუზისგან, რომელმაც უამრავი ადამიანი მოკლა.

– სიფრთხილეა საჭირო მის შხამიან საცეცებთან მიმართებით, ასევე უნდა ყურადღებით იყო ქარის მიმართ, ვინაიდან ქარის დაქროლვის შედეგად შესაძლოა საცეცები თქვენს მუცელზე აღმოჩნდეს, – ამბობს მამაკაცი და იქვე ამატებს, რომ კუბომედუზასთან ურთიერთობა განსაკუთრებულ ხელოვნებას წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნული ლიგა სენსაციურად განახლდა

საბუჩთაღო-დინამო (ბთ) 1:1
თბილისი. მიხეილ მესხი
0:1 ჯოვინო (2), 1:1 ტაბატაძე (48)

საბურთალო: გოშაძე, კაკუბავა, შ.ნონიკაშვილი, ჯგერენაია, მალი (მანდრიჩენკო 46), ცნობილაძე (ძებნიაური 66), ლ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე, გოჩოლეიშვილი (ჩაჩუა 86), გულიაშვილი (შულაია 71), კოხრეიძე (კვერნაძე 86)

დინამო: კუპატაძე, ჩაბრაძე (თ.გაფრინდაშვილი 81), კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ალთუნაშვილი, ტეიდი, მამუჩაშვილი, ზარია (მანჯგალაძე 58), ჯიღაური (ფანცულაია 81), ჯოვინო

ეროვნული ლიგის 23-ე ტურის ცენტრალური მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საბურთალოსა და ბათუმის დინამოს შორის გაიმართა. თამაში სტუმრებისთვის ყველაზე სასურველი სცენარით დაიწყო, მაგრამ, საბოლოოდ, შეხვედრა გამარჯვებამდე ვერ მიიყვანეს.

უკვე მე-2 წუთზე ბათუმელებმა ანგარიში ჯოვინო ფლამარიონის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. ამის შემდეგაც თვალსაჩინო იყო გია გეგუჩაძის გუნდის უპირატესობა, მაგრამ ბრაზილიელის მიერ გატანილი გოლი დინამოსთვის ერთადერთი გამოდგა.

მე-2 ტაიმის სტარტზე შექმნილი მომენტი საბურთალომ კარგად გამოიყენა და იშვიათი კონტრშეტევებიდან ერთ-ერთი გოლად აქცია – წონასწორობა იური ტაბატაძემ აღადგინა.

საბოლოოდ, 1:1 დასრულდა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

თელავი-დინამო (თბ) 1:0
თელავი. კავკასიონი არენა
1:0 შეიგელაშვილი (49)

თელავი: სანიკიძე, თევზაძე, მარაქველიძე (აშორტია 75), ჯანელიძე (შეყილაძე 75), თოლორდავა, ჩუკვურა (რუხაძე 63), ჯიქია, ჟუნიორი, ფაცაცია, არდაზიშვილი (ც.კაპანაძე 57), შერგელაშვილი

დინამო: პრიეტო, ხვადაგიანი (მოისწრაფიშვილი 88), პაპავა, ბენიო, ქარდავა, მორჩილაძე, ხარაბაძე, რადინი (კუცია 65), ოსეი (ქავთარაძე 88), გაბედავა (სხირტლაძე 37), მარუშიჩი

თბილისის დინამომ ბათუმელთა წაბორძიკებით ვერ ისარგებლა და მოულოდნელად, თელავში დამარცხდა. გიორგი მიქაძის გუნდმა კავკასიონი არენაზე მოქმედ ჩემპიონებს უმასპინძლა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

გამარჯვების მომტანი ბურთი ლაშა შერგელაშვილმა შეხვედრის 49-ე წუთზე გაიტანა. თელაველმა საჯარიმო დაარტყა, არც ისე ძლიერად, რომ მეკარეს აღება გასჭირვებოდა, მაგრამ დინამოელთა ესპანელმა მეკარემ, რომელიც პირველ მატჩს ატარებდა დედაქალაქურ გუნდში, კახელებს 3 ქულა აჩუქა.

მატჩის მიწურულს დინამო თელავის კარის მიმართულებით დიდი ძალებით უტევდა, მაგრამ გატანილ გოლამდე საქმე არ მივიდა.

თელავმა წაუგებელი მატჩების სერია 7-მდე გაზარდა.

დილა-ტორპედო 1:2
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
0:1 მიხეხელავა (22), 0:2 ძახია (52), 1:2 ბუღრიძე (90)

დილა: გუგეშაშვილი, მაისაშვილი, ნემსაძე (მადინგა 59), მანზი, სილვა, ნონდი (ჭიჭინაძე 69), სანტოსი, ღუდუშაური (ბუღრიძე 69), მოსიაშვილი (კოუგბენია 85), თ.კაპანაძე, კამარა

ტორპედო: კვასხვაძე, ძარია (კარაგუნისი 59), მირცხულავა, ჩაკვეტაძე, ინკუმი (ვ.ტაბატაძე 19), მამასახლისი, პარაგულგოვი (რეკიში 77), ჩალაძე (მახარობლიძე 77), ბუკასი, თ.ახვლედიანი (ზიდანი 59), ნადარაია

სამი ქულა დაკარგა გორის დილამაც, რომელმაც საკუთარ მოედანზე ქუთაისის ტორპედოსთან წააგო – 1:2.

ანგარიში ბაქარ მირცხულავამ 22-ე წუთზე გახსნა, რომელმაც კუთხურის შემდეგ ბურთს კარში ადგილი თავური დარტყმით მიუჩინა. ქუთაისელთა უპირატესობა ორამდე 52 წუთზე ირაკლი ძარიამ გაზარდა.

ერთადერთი გოლი გორელებმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში პენალტით გაიტანეს, რომელიც ზუსტად ირაკლი ბუღრიძემ შეასრულა.

დილა მე-3 ადგილზე რჩება, ტორპედოს კი, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად უწევს ბრძოლა.

შუქუჩა-სამგუჩაღი 0:0
ფოთი. ფაზისი

შუქურა: თებიძე, ჭანტურია, მუსელიანი (კაბრალი 80), ხმალაძე, ინგოროყვა (ბ.ვერულიძე 71), კომახიძე, სარდალიშვილი (კვარაცხელია 88), გ.გაფრინდაშვილი, კაკაშვილი, სპიჩკა, ჯერალდო

სამგურალი: ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი, ტურე, კუხიანიძე (ბუხაიძე 76), ფონიავა (ჩიხლაძე 76), დ.კირკიტაძე (ი.ახვლედიანი 59), კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე (თევზაძე 90), ქურდაძე, კიკაბიძე

ცხრილის მე-2 ნახევარში მყოფი გუნდების მატჩი უინტერესო გამოდგა და გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

ამ დროისთვის შუქურას 21 ქულა აქვს და მე-9 პოზიციაზე იმყოფება, სამგურალი კი, 30 ქულით მე-6 ადგილს იკავებს.

სატუჩნიჩო ცხჩიღი:

1.დინამო (ბთ)	23	13	8	2	43-17	47
2.დინამო (თბ)	23	14	2	7	34-19	44
3.დილა	23	11	5	7	28-23	38
4.საბურთალო	23	9	9	5	33-24	36
5.ლოკომოტივი	23	11	3	9	37-3	36
6.სამგურალი	23	7	9	7	22-26	30
7.თელავი	23	6	7	10	20-34	25
8.ტორპედო	23	4	10	9	20-26	22
9.შუქურა	23	4	9	10	18-29	21
10.სამტრედია	23	3	4	16	20-43	13

მაიას თასი ჯოჯუამ და ძაგნიძემ მოიგეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში (რაპიდი), რომელიც მაია ჩიბურდანიძის სახელს ატარებდა. ვაჟთა შორის დავით ჯოჯუა გახდა, ხოლო ქალებში – ნანა ძაგნიძე.

ტურნირის საპრიზო ფონდი 32.650 ლარს შეადგენდა და შვეიცარიული სისტემით, 8 ტურად ჩატარდა. დროის კონტროლი 45 წუთი იყო, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.

ჯოჯუამ 8 ტური დაუმარცხებლად განვლო და 5.5 ქულით იჩემპიონა. გამარჯვებულმა უახლოეს კონკურენტებს – თორნიკე სანიკიძესა და ნიკოლოზ მანაგაძეს ნახევარი ქულით გაუსწრო.

კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო ძაგნიძე, რომელმაც 6.5 ქულა მიითვალა. ვერცხლის მედალი ბელა ხოტენაშვილმა მოიპოვა, რომელმაც თავი 6.0 ქულას მოუყარა. მე-3 ადგილზე 4.5 ქულით ნინო ხომერიკი გავიდა.

თბილისშივე კიდევ ერთი ლეგენდარული მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება.

ბეჟანიშვილი დენვერმა არასრულფასოვანი კონტრაქტით აიყვანა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში (ნბა) კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს – გიორგი ბეჟანიშვილი, რომელიც, სადღეისოდ, ავსტრიის მოქალაქეა. ბეჟანიშვილი და დენვერ ნაგეთსი ერთწლიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. კონტრაქტი სრულფასოვანი არ არის, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მისი გარდაქმნა შესაძლებელია. ასევე კლუბს ცალმხრივად შეუძლია კონტრაქტის გაწყვეტა.

ასეთი კონტრაქტის დროს, კლუბებს კალათბურთელები თადარიგში ჰყავთ დაბეჟებული და ძირითადად განვითარების ლიგაში ათამაშებენ. დენვერ ნაგეთსის პარტნიორი კლუბი ჯეი ლიგაში გრანდ რაპიდია.

ბეჟანიშვილმა დენვერ ნაგითსთან ერთად საზაფხულო ლიგაში ითამაშა და მოედანზე მაიამის, ბოსტონისა და სანდრო მამუკელაშვილის მილუოკის წინააღმდეგ ითამაშა.

ბეჟანიშვილი ქართული კალათბურთისთვის საინტერესო ფიგურაა. იყო საუბარი მის საქართველოს ნაკრებში თამაშზე და საქართველოს ფედერაციამ კალათბურთელს წინადადებითაც მიმართა.

ამ ეტაპზე ბეჟანიშვილი ჯერ ისევ ავსტრიის მოქალაქედ რჩება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მედვედევმა პირველი ტიტულით ჯოკოვიჩი რეკორდამდე არ მიუშვა

მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგის პირველი ნომერი, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი ამერიკის ღია პირველობაზე ფინალში დანილ მედვედევთან 4:6, 4:6, 4:6 დამარცხდა და ერთბაშად ორი დიდი მიღწევის შესაძლებლობა სამომავლოდ გადადო.

გამარჯვების შემთხვევაში ჯოკოვიჩი 21-ე „დიდი სლემის“ გამარჯვებული ხდებოდა და აქამდე თანაფარდობაში მყოფ როჯერ ფედერერსა და რაფა ნადალს უკან მოიტოვებდა. პლუს, ჯოკოვიჩი კალენდარული წლის განმავლობაში ოთხივე „დიდი სლემის“ ტურნირს მოიგებდა.

ნოლემ მისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურნირის ფინალი ჩააგდო. სერბი არ ჰგავდა საკუთარ თავს, ხოლო რუსი შესანიშნავად გამოიყურებოდა და დამსახურებულადაც მოიგო.

ნოვაკ ჯოკოვიჩი:

– დომინიკ ტიმმა გასულ წელს ამ ტურნირის მოგება მოახერხა და დაიწყო ცვლილებების პროცესი. თუმცა, „ბებერი ბიჭები“ ვცდილობთ ვიბრწყინოთ და ვიკაშკაშოთ ისე, როგორც ჩოგბურთის სამყაროშია შესაძლებელი. პირველ რიგში, საკუთარ თავზე ვსაუბრობ, მინდა განვაგრძო ასპარეზობა, მოვიგო კიდევ ბევრი შეხვედრა და ვიბრძოლო ჩემი ქვეყნისთვის, ეს ახლა ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაციაა.

ახალი თაობა „ახალი“ ნამდვილად აღარაა, ისინი საკმაოდ კარგი ჩოგბურთელები არიან და აწმყოს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, გარკვეული დროის შემდეგ სადავეებს ხელში ჩაიგდებენ. ვფიქრობ, ჩოგბურთი საიმედო ხელშია. იმედი მაქვს, თაობათა შორის გარდამავალი პერიოდის დროს, სპორტი პოპულარობას არ დაკარგავს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ სახეობის სახეები ვართ, ვალდებულები ვართ ახალი გულშემატკივრები მოვიზიდოთ.

ჩვენი სპორტი მათში ცოცხლობს. ისინი ახალგაზრდებს ან რეიტინგში დაბლა მყოფ ჩოგბურთელებს შესაძლებლობასა და მოტივაციას აძლევენ, რათა ჩოგბურთით იცხოვრონ. ყველაფერი კარგადაა, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, ვფიქრობ, ყველაფერი განხორციელდება.

მედვედევმა კი კარიერიაში პირველად მოიგო „დიდი სლემის“ ტიტული და, ცხადია, ნამატჩევს გახარებული იყო.

დანილ მედვედევი:

– როდესაც რაღაცას პირველად აკეთებ, ემოციები განსაკუთრებულია. ჩემი პირველი საჩოგბურთო ტურნირი ჯერ კიდევ ბავშვობაში მოვიგე, ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, როდესაც პირველად „მომავლების“ ტურნირის გამარჯვებული გავხდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ როდესაც უფრო დიდი წარმატება მოდის, განსხვავებული ემოცია გეუფლება.

ეს დიდი ტურნირია. ზოგადად, მასტერი ბევრს მოგებული არ აქვს, მაგრამ მე მეტი მჭირდება, უფრო მეტი...

არასდროს იცი, რას მიაღწევ შენს დარჩენილ კარიერაში, ყოველთვის იმას ვიტყვი, რომ თუ ვეღარაფერს მოვიგებ, მეცოდინება, რომ მე ამაში ყველაფერი ჩავდე.

ახლა ბედნიერი ვარ, ეს ჩემთვის პირველი „დიდი სლემის“ ტურნირია, არ ვიცი, მეორე, მესამე რა ემოციას მომიტანს, მაგრამ პირველი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

ნოვაკის გამო გულწრფელად ვწუხვარ, წარმოდგენაც არ მინდა, რას გრძნობს ახლა ის. ფინალში ნებისმიერი ოპონენტის დამარცხებით ასეთივე მოხარული ვიქნებოდი.

შედეგები

12 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ნოტინგემი-კარდიფი 1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-შტუტგარტი 1:1
ბოხუმი-ჰერტა 1:3
გლადბახი-არმინია 3:1

სატუნირო ცხრილი:

1.ვოლფსბურგი	4	4	0	0	6-1	12
2.ბაიერნი	4	3	1	0	13-4	10
3.დორტმუნდი	4	3	0	1	13-9	9
4.მაინცი	4	3	0	1	6-2	9
5.ფრაიბურგი	4	2	2	0	6-4	8
6.ლევერკუზენი	4	2	1	1	12-6	7
7.კიოლნი	4	2	1	1	8-6	7
8.უნიონი	4	1	3	0	5-4	6
9.ჰოფენჰაიმი	4	1	1	2	8-7	4
10.შტუტგარტი	4	1	1	2	8-9	4
11.გლადბახი	4	1	1	2	5-8	4
12.ლაიფციგი	4	1	0	3	5-6	3
13.ბოხუმი	4	1	0	3	4-6	3
14.არმინია	4	0	3	1	3-5	3
15.აინტრახტი	4	0	3	1	4-7	3
16.ჰერტა	4	1	0	3	5-11	3
17.აუგსბურგი	4	0	2	2	1-8	2
18.ფიურტი	4	0	1	3	2-11	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-დარმშტადი 2:1
პადერბორნი-შალკე 0:1
ჰაიდენჰაიმი-დინამო 2:1
აუე-ფორტუნა 0:1
რეგენსბურგი-ნიურნბერგი 2:2

ესპანეთი. ჰიმეხა დივიზიონი

ესპანიოლი-ატლეტიკო 1:2
ოსასუნა-ვალენსია 1:4
კადისი-სოსიედადი 0:2
რეალი-სელტა 5:2

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	4	3	1	0	13-6	10
2.ვალენსია	4	3	1	0	9-2	10
3.ატლეტიკო	4	3	1	0	7-4	10
4.სოსიედადი	4	3	0	1	6-4	9
5.ბილბაო	4	2	2	0	4-1	8
6.სევილია	3	2	1	0	5-1	7
7.ბარსელონა	3	2	1	0	7-4	7
8.მალიორკა	4	2	1	1	3-3	7
9.ოსასუნა	4	1	2	1	4-6	5
10.რაიო	4	1	1	2	5-5	4
11.ვილიარეალი	3	0	3	0	2-2	3
12.ლევანტე	4	0	3	1	5-6	3
13.ბეტისი	3	0	2	1	2-3	2
14.ელჩე	3	0	2	1	1-2	2
15.ესპანიოლი	4	0	2	2	1-3	2
16.კადისი	4	0	2	2	4-7	2
17.გრანადა	3	0	2	1	1-5	2
18.სელტა	4	0	1	3	3-8	1
19.ხეტაფე	3	0	0	3	1-4	0
20.ალავესი	3	0	0	3	1-8	0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ოვიედო-კარტახენა 2:0
ვალიადოლიდი-ტენერიფე 0:2
პონფერადინა-ალმერია 1:0
ფუენლაბრადა-სარაგოსა 1:1
მალაგა-ხირონა 2:0

იტალია. სერია ა

სამპდორია-ინტერი 2:2
კალიარი-ჯენოა 2:3
სპეცია-უდინეზე 0:1
ტორინო-სალერნიტანა 4:0
მილანი-ლაციო 2:0
რომა-სასუოლო 2:1

სატუნირო ცხრილი:

1.რომა	3	3	0	0	9-2	9
2.მილანი	3	3	0	0	7-1	9
3.ნაპოლი	3	3	0	0	6-2	9
4.ინტერი	3	2	1	0	9-3	7
5.უდინეზე	3	2	1	0	6-2	7
6.ლაციო	3	2	0	1	9-4	6
7.ფიორენტინა	3	2	0	1	5-5	6
8.ბოლონია	2	1	1	0	3-2	4
9.ატალანტა	3	1	1	1	3-3	4
10.სასუოლო	3	1	1	1	4-4	4
11.ვენეცია	3	1	0	2	2-6	3
12.ტორინო	3	1	0	2	6-4	3
13.ჯენოა	3	1	0	2	4-8	3
14.ემპოლი	3	1	0	2	3-5	3
15.სამპდორია	3	0	2	1	2-3	2
16.კალიარი	3	0	1	2	5-9	1
17.სპეცია	3	0	1	2	3-9	1
18.იუვენტუსი	3	0	1	2	3-5	1
19.ვერონა	2	0	0	2	3-6	0
20.სალერნიტანა	3	0	0	3	2-11	0

იტალია. სერია ბ

კოზენცა-ვიჩენცა 2:1
კრემონეზე-ჩიტადელა 2:0
პორდენონა-პარმა 0:4

საფრანგეთი. ლიგა 1

მონპელიე-სტ.ეტიენი 2:0
ბორდო-ლანსი 2:3
ბრესტი-ანჟე 1:1
მეცი-ტრუა 0:2
რენი-რეიმსი 0:2
ნანტი-ნიცა 0:2
ლიონი-სტრასბური 3:1

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	5	5	0	0	16-5	15
2.ანჟე	5	3	2	0	9-2	11
3.მარსელი	4	3	1	0	10-5	10
4.ნიცა	4	3	1	0	10-0	9
5.ლანსი	5	2	3	0	10-7	9
6.კლერმონი	5	2	2	1	9-9	8
7.ლიონი	5	2	2	1	8-8	8
8.ლორიანი	5	2	2	1	7-7	8
9.მონპელიე	5	2	1	2	11-9	7
10.რეიმსი	5	1	3	1	6-6	6
11.რენი	5	1	2	2	3-6	5
12.ლილი	5	1	2	2	7-11	5
13.ტრუა	5	1	1	3	5-7	4
14.ნანტი	5	1	1	3	3-5	4
15.სტრასბური	5	1	1	3	7-11	4
16.მონაკო	5	1	1	3	3-7	4
17.ბრესტი	5	0	3	2	6-10	3
18.მეცი	5	0	3	2	6-10	3
19.სტ.ეტიენი	5	0	3	2	5-9	3
20.ბორდო	5	0	2	3	5-12	2

ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ნაიმეგენი-ტილბურგი 0:0
გრონინგენი-ჰერენვენი 1:1
სპარტა-სიტარდი 3:1
ვალვაიკი-ვიტესი 1:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-ფამილიკაო 2:2
ბოავიშტა-პორტიმონენშე 1:1
ჟილ ვისენტე-ვიზელა 2:2
გიმარაეში-ბელენესენში 0:0

ხუსეთი. პრემიერლიგა

არსენალი-ცსკა 2:2
სოჭი-უფა 3:1
დინამო-ნ.ნოვგოროდი 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-მეხელენი 7:2
გენტი-შარლერუა 2:3
სერენი-სტანდარდი 0:1
ლეუვენი-კორტრაიკი 2:1
გენკი-სენ ჟილუა 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-აუსტრია 0:2
ალტახი-რიდი 1:1
შტურმი-კლაგენფურტი 2:1

მოტლანდია. პრემიერლიგა

ჰართსი-ჰიბერნიანი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ჰატაი 0:2
ფენერბახჩე-სივასი 1:1
გიოზთეფე-ბაშაქშეჰირი 2:1
ტრაბზონი-გალათასარაი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვოლოსი-ლამია 2:1
პაოკი-იანინა 0:1
აეკი-იონიკოსი 3:0
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი 0:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-ჭრადეც კრალოვე 0:1
ბოლესლავი-სიგმა 3:3
იაბლონეცი-კარვინა 1:0
სლავია-სლოვაცკო 2:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასა

პიასტი-ზაგლებიე 0:1
ვისლა-ლეხია 2:2
ჩენსტოხოვა-ლეხი 2:2

უნგრეთი. 1 დივიზიონი

პუშ.აკადემია-კიშვარდა 0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-ჩერნომორეცი 2:2
კოლოსი-მარიუპოლი 1:3
ვორსკლა-დესნა 2:2

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ოლბორგი 2:3
რანდერსი-კოპენჰაგენი 0:2
ორხუსი-ვაილე 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-დეგერფორსი 4:1
დიურგარდენი-ჰამარბი 4:1
გიოტებორგი-ჰალმშტადი 2:0

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმტი-ოდ გრელანდი 1:1
მიოლდე-მიოლდალენი 4:0
სანდერფიორდი-ვალერენგა 3:0
სტრომგოდსეტი-კრისტიანსუნდი 1:2
ჰაუგესუნდი-სარპსბორგი 2:1
რუსენბორგი-ტრომსო 3:2

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

ბიჭები

ფინალი

ჯოკოვიჩი-მედვედევი 4:6; 4:6; 4:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

მოგვირჩენთ:

თმის ცვენა – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
ტილების მოსაშორებლად – ლოსიონი;
კოლოსა და მწერების ნაკბენისთვის – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
ნაწოლებისთვის – მალამო, ლოსიონი;
ჰაემორიტისთვის – ლოსიონი, მალამო;
დამწვრობისთვის – ლოსიონი, მალამო;
ბუასილისთვის – სანთლები, მალამო;
მარილებისთვის – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
სოკოვანი დაავადებისთვის – აბაზანები, მალამო;

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა

ზაურ ვლადიმერის ძე ვაშაკიძე

დიდი მწუხარებით ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ზაირას, შვილებს ზაზასა და ზურიკოს, დებს ცისანასა და ლეილას. ღმერთმა მოგცეთ გაძლების უნარი.

უფალმა ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი საყვარელი და კეთილშობილი ზაურიკოს სპეტაკი და წმინდა სული. ფაფუკი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

ახლა, ალბათ, ზაური გახარებულია მის მამიდაშვილთან ზურიკო მანჯგალაძესთან შეხვედრით ზენა სამყოფელში. ისინი ხომ ძმებივით მოსიყვარულენი იყვნენ. ორივენი ღმერთმა დალოცოს იმ სულიერ სამყაროში. ორივე ძმას არ დაგივიწყებთ. მუდამ ჩვენს გულებში იქნებით.

დიდი გულისტკივილით,
მედეა და მარინა მანჯგალაძეები, მაია კაჭახიძე

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 2. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 3. საშობაო სიმღერა; 4. ხორვატიის დედაქალაქი; 5. თხზულება „გიორგი ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 10. უბანი თბილისში; 11. უცხოელების, ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 12. წყალხმელეთა ცხოველი; 15. ფიზიკაში მაღალი სიხშირის რხევათა შეცვლა უფრო დაბალი სიხშირით რხევებით; 16. ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 17. ბეთჰოვენის ოპერა; 20. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

თარაზულად: 6. ქართველი ფიზიოლოგი აკადემიკოსი; 7. გერმანული ლუდი; 8. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 9; მსოფლიოში უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 13. ფრანგი მეზღაპრე; 14. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 18. საათების მწარმოებელი ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 19. ფრანგი მწერალი; 21. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 22. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მფლობელი; 23. ჯალათის ძველი სახელწოდება საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფიცი; 2. აგუნა; 3. ბზიფი; 5. ლუხუნი; 6. ფეთხაინი; 9. ქსენოფობია; 10. ბარომეტრი; 11. კატალონია; 14. ოდა; 16. კალასი; 18. ზმნა.

თარაზულად: 1. ფიგარო; 4. ფალსტაფი; 7. სულორი; 8. ფერხული; 12. ტესლა; 13. ბოლიდი; 15. კოპალა; 17. შოუ; 19. ჟანდარმერია; 20. განდი; 21. ფაშატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მიკიტანი; 2. იკებანა; 3. ოდესა; 4. ალაბამა; 5. ჰორაციო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ტრამვაი; 15. სტივიდორი; 16. აპათია; 16. წუმწუმა; 20. ოპელი.

თარაზულად: 6. ნიკორწმინდა; 7. პლუტოსი; 8. კრახუნა; 9. ტანინი; 13. ბორა; 14. ცეზარი; 18. იმუნიტეტი; 19. ცურვა; 21. შპიგი; 22. მაინცი; 23. დალტონიკი; 24. ქრისტინე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1152

ევრო
— 3.6691

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.3074

100 რუსული
რუბლი
— 4.2671

ამინდის პროგნოზი 14 სექტემბრისათვის



კარლო ანჩელოტი: „დაცვაში თამაში უნდა გამოვასწოროთ“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სელტასთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ ის თამაშით კმაყოფილია, მაგრამ რეალს დაცვაში თამაშის გამოსწორება სჭირდება, რადგან ძლიერ გუნდებთან მათ შეცდომები ძვირად დაუჯდებათ:

– ორი გოლი გავუშვით და ეს ცუდია, რადგან დაცვაში შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში კარგი თამაში ვაჩვენეთ და მიხარია, რომ პროგრესი გვაქვს.

რონალდუ: „მანჩესტერ იუნაიტედს დიდი პოტენციალი აქვს“

მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნებულმა კრიშტიანო რონალდუმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა რომ მათ დიდი პოტენციალი აქვთ და შეუძლიათ, რომ წელს ინგლისის ჩემპიონები გახდნენ:

– ვთვლი, რომ ჩემპიონობა შეგვიძლია, რადგან გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და სეზონის მანძილზე მხოლოდ მოვუმატებთ და მეც ამ ყველაფერში ჩემს წვლილს აუცილებლად შევიტან.

ბენზემა: „თითქმის იდეალურ ფორმაში ვარ“

მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ სელტას წინააღმდეგ 3 გოლი გაიტანა და თქვა, რომ ის თითქმის იდეალურ ფორმაში იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ მას ტრავმა აწუხებდა.

ბენზემას თქმით, ის ცდილობს, რომ გუნდისთვის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს:

– რეალში თავს კარგად ვგრძნობ და ვფიქრობ, რომ კარიერას აქ დავასრულებ. ამჟამად კარგ ფორმაში ვარ და მინდა, რომ ეს მთელი სეზონის მანძილზე გაგრძელდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეგან ფოქსი MTV-ის პრემიაზე გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა

ამერიკელი მსახიობი და ფოტომოდელი მეგან ფოქსი მუსიკალურ პრემია MTV Video Music იწარდს-ს გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი დაესწრო. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში მსახიობის გვერდზე გამოქვეყნდა.

პაპარაცებმა ფოქსი მის შეყვარებულ, მუსიკოსს კოლსონ ბეიკერთან, რომელიც უფრო მეტად Machine Gun Kelly-ს მეტსახელითაა ცნობილი, ერთად გადაიღეს. ფოტომოდელი ღონისძიებაზე ბრჭყვიალა ტრუს-სტრინგსა მაქსის სიგრძის Mugler-ის ბრენდის გამჭვირვალე ქსოვილის კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა.

ფოქსის გარეგნობას ასევე ავსებდა ვერცხლის ფერი მაღალქუსლიანი ჟიმმყ ჩჰოო-ს მარკის სანდლები და სველი თმების ეფექტის ვარცხნილობა. მეგანის შეყვარებულმა მოდის სახლ

დოლჩე და გაბანას კლასიკური წითელი ფერის კოსტიუმი აირჩია. ცნობილია, რომ რეპერმა პრემიაზე ალტერნატიული მუსიკის ჟანრში საუკეთესო კლიპისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 სექტემბრისათვის

ვერძი – დაისვენეთ, ენერგია მოიკრიბეთ. განტვირთვა გჭირდებათ. მოულოდნელი ინფორმაცია სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნით. **კურო** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. იყავით დამოუკიდებელი და პრინციპული. **ტყუპები** – ნებისმიერი აქტივობა გარშემომყოფებთან კონფრონტაციამდე მიგიყვანთ. ერიდეთ ხალხმრავლობას. **კირჩხიბი** – წინა პლანზე ოჯახური პრობლემები წამოიწევს. უმჯობესია, თუ ოჯახის წევრებთან ერთად დაისვენებთ. **ლომი** – მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. **ქალწული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. განსაკუთრებით დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **სასწორი** – ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი გეშლებათ. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **ღრიანკალი** – ფულს იოლად ნუ გაფლანგავთ. ერიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს. ყველგან და ყველაფერში სიფრთხილე გმართებთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. შედეგით უკმაყოფილო დარჩებით. საქმიანი კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **თხის რქა** – ახალი გატაცებისთვის მზად იყავით. პლანეტა ვენერა სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებათ. **მერწყული** – ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა თქვენი შრომისმოყვარეობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. წარმატებული დღეა. **თევზები** – საკუთარი ძალების ირწმუნეთ. ნუ მოეშვებით. საქმე კეთილსინდისიერად აკეთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– წუხელ როგორ გეძინა?

– ჩვილივით...

– ეგ როგორ?

– ყოველ საათში ერთხელ მეღვიძებოდა და ვტიროდი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, როგორი ეჭვიანი მყავხარ! ნამდვილი პარანოიაა, როდესაც ყველა მამაკაცს, ვისაც კარადაში ნახულობ, ჩემს საყვარლად თვლი!

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– მიყიდეთ, რა, ტორტი!

– ცოლიანი ვარ.

– მაშინ თქვენს ცოლს სთხოვეთ, ტორტი გამომიცხოს.

●●●

პაციენტი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, როგორც კი ჩაის სმას ვიწყებ, ყურის ტკივილიც მეწყება! რა გავაკეთო?

– ჭიქიდან კოვზის ამოღება სცადე!

●●●

მამაკაცი ბაზრის წინ ინდაურს ყიდის. შუა ხნის ქალი მივიდა და ეკითხება:

– რა ღირს ინდაური?

– ასორმოცდაათი ლარი.

– კვერცხებს თუ დებს?

– როგორ არა ქალბატონო, სულ ინდაურის კვერცხებს დებს!

– ნაჯდომი თუა? (კრუხად თუ იჯდაო).

– ქალბატონო, ნაჯდომი არაა, მაგრამ მარცხენა ფრთის ქვეშ ნაკოლკა აქვს „ნე ზაბუდუ მატ რადნუიუ“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



თამუნა მუსერიძე „ფორმულაზე“ მიიწვიეს

ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი გახდა.

ინფორმაცია სოციალურ ქსელში მან თავად გაავრცელა და საზოგადოებას დაუდასტურა, რომ სულ მალე „ფორმულას“ ეთერში ვიხილავთ.

თამუნა სხვადასხვა წლებში არაერთ ქართულ ტელეკომპანიაში მუშაობდა და ამ მხრივ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

ნანიკო ხაზარაძე „საიმედო რეკომენდაციას“ აღარ წაიყვანს



ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე ახალი სატელევიზიო ეთერიდან გადაცემა „საიმედო რეკომენდაციის“ წამყვანი აღარ იქნება. ნანიკო ტელეკომპანია „იმედის“ ახალ გადაცემას „ჩვენი ოჯახი“ წაიყვანს, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას გავა ეთერში. „საიმედო რეკომენდაციის“ ახალი წამყვანი კი მარიამ მდინარაძეა.

ნუკი კოშკელიშვილი და გიორგი ბახუტაშვილი „ნიჭიერის“ წამყვანები არიან

მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი და მოდელი ნუკი კოშკელიშვილი „ნიჭიერის“ წამყვანები გახდნენ. გიორგი ბახუტაშვილი სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ წავიდა და ახლა ამ შოუს წამყვანის ამპლუაში მოგვევლინება. შოუს წამყვანები სულ მალე მაყურებელს ყველაზე ნიჭიერ ადამიანებს „რუსთავი 2“-ის ეთერით გააცნობენ.

„ნიჭიერის“ კონკურსანტებს კი შეაფასებს ჟიური თიკა ფაცაცია, თაკო ფხაკაძის, რუსკა მაყაშვილის, სტეფანე მღებრიშვილისა და ირაკლი იმნაიშვილის შემადგენლობით.

საგურამოში ილია ჭავჭავაძის მედლის მფლობელები გამოავლინეს

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმმა პრემია „საგურამოსა“ და ილიას მედლის 2021 წლის ლაურეატები გამოავლინა. პოეზიაში ლაურეატობის წოდება მიენიჭა ვასილ ბესელიას, პროზაში – ნინო სადღობელაშვილს, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში – ნანა კუციასა და პაატა ნაცვლიშვილს, თარგმანში – ბელა შალვაშვილს, ხელოვნებაში – შალვა მატუაშვილს, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში – ზურაბ კიკნაძეს, საბავშვო მწერლობაში კი – გივი ჩიღვინაძეს.

ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“, ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პიანისტმა ელისო ვირსალაძემ მიიღო.

ბაჩანა შენგელია დაქორწინდა

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მოთამაშე ბაჩანა შენგელია დაქორწინდა. მისი რჩეული თამთა შამათავაა.

წყვილის ქორწილის ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ბაჩანამ და თამთამ ბევრი დადებითი კომენტარი და საუკეთესო სურვილები დაიმსახურეს.

ჯემალ ბაღაშვილი 80 წლის გახდა

ანსამბლ „ივერიას“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, შოუბიზნეს ცენტრ „ლომისის“ ხელმძღვანელი ჯემალ ბაღაშვილი 80 წლის გახდა. იუბილე ხელოვანმა პანდემიის გამო, მოკრძალებულად ოჯახის წევრების გარემოცვაში აღნიშნა.

საიუბილეო თარიღი მას შვილმა გია ბაღაშვილმა საჯაროდ მიულოცა:

– მამაჩემის დაბადების დღე გახლავთ, თანაც როგორი – 80 წლის იუბილე!

გილოცავ მამა! ვერანაირი სიტყვითი ვერ გამოვხატავ ჩემს სიამაყეს, მადლიერებასა და სიყვარულს!

შენ მართლა დიდი კაცი ხარ, კიდევ ძალიან დიდხანს რომ გვჭირდები არა მხოლოდ ჩვენ, შენი ოჯახის წევრებს, არამედ – მთელ ქვეყანას. სულ ასეთი შემართებით იყავი. კიდევ მრავალი წელი გეშრომოს და მიგენიჭებინოს ზღვა სიხარული შენი უსაყვარლესი მაყურებლისთვის!

ნიკო ნანიტაშვილს ფეისბუქში ბულინგი მოუწყვეს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ განახლებულ სატელევიზიო სეზონზე პირველ იუმორისტულ შოუს გვთავაზობს.

გადაცემა, სავარაუდოდ, „ღამის შოუს“ ფორმატის იქნება და მას მსახიობი ნიკო ნანიტაშვილი წაიყვანს. „რუსთავი 2“-მდე ნიკო ნანიტაშვილი ტელეკომპანია „პოსტივი“-ში მუშაობდა და „პოსტ ალიონი“ მიჰყავდა. ის სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ეპიზოდურ როლში მონაწილეობდა. „რუსთავი 2“-ის იუმორისტული შოუს ვიდეორგოლის გავრცელებისთანავე, სოციალურ ქსელში ნიკო ნანიტაშვილის დაცინვა და ძაგება დაიწყეს. ძირითადად მას მანანა ბერიკაშვილის სიძეობას ვერ პატიობენ.

ამ საქციელს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი გამოეხმაურა:

– დაუმსახურებელი შეურაცხყოფების კორიანტელისა და ბულინგის ახალი ტალღა დაიწყო „რუსთავი 2“-ის ღამის შოუს ახალი წამყვანის, ნიკო ნანიტაშვილის, მიმართ, თანაც ისე, რომ ჯერ გადაცემა ეთერშიც არ გასულა. წარმატებას ვუსურვებ მასაც და გადაცემასაც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 2. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 3. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 5. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. რაიონული ცენტრი კახეთში; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. ოპერა „სეველიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი; 18. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 1. სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი თბილისში; 4. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 7. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 8. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 12. ხელოვნური მარმარილო; 13. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 15. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. აეროპორტი ნიუ იორკში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა